

675-15
1993



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN
ACADEMY OF SCIENCES
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

ეკონომიკის სერია

ECONOMIC SERIES

СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ



ტომი
VOLUME
TOM

1

1993

N 1

თბილისი * TBILISI * ТБИЛИСИ



ვ. პაპავა (მთავარი რედაქტორი), ვ. ადვაძე, გ. ადეიშვილი, თ. ბერიძე (სწავლული მდივანი), ზ. გიორგაძე, ა. გუნია, ა. კურატაშვილი, ი. მესხია, რ. მითაიშვილი, ნ. პაიჭაძე, ა. სილაგაძე, ვ. ჩანტლაძე, თ. ჩიკვაიძე, ლ. ჩიქავა, გ. წერეთელი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ბ. ხასია, მ. ჭიბუტი

ბასუხისმგებელი მდივანი ი. დემირხანოვა

EDITORIAL BOARD

V.Papava (Editor-in-Chief), V.Advazde, G.Adeishvili, T.Beridze (Scientific Secretary), V.Chantladze, L.Chikava, T.Chikvaidze, M.Djibouti, H.Giorgadze, A.Gunia, B.Khasia, A.Kuratashvili, Y.Meskhia, R.Mitaishvili, N.Paichadze, A.Silagadze, G.Tsereteli (Deputy Editor-in-Chief)

Executive Secretary I.Demirkhanova

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

В.Г.Папавა (главный редактор), В.С.Адвадзе, Г.Г.Адеишвили, Т.А.Беридзе (ученый секретарь), Г.Г.Гиоргадзе, А.Л.Гуния, М.Ч.Джибути, А.А.Кураташвили, Я.Е.Месхия, Р.Л.Митаишвили, Н.Н.Пайчадзе, А.Н.Силагадзе, Б.А.Хасиа, Г.Ш.Церетели (зам. главного редактора), В.Г.Чантладзе, Л.Л.Чикава, Т.Н.Чикваидзе

Ответственный секретарь И.С.Демирханова

380007, თბილისი, ქიქოძის 14, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
ტელ. 99-68-53, 99-07-02, ფაქსი: 99-83-89

საქ. მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19

P.Gugushvili Institute
of Economics, The Georgian
Academy of Sciences,
14, Kikodze street,
Tbilisi, 380007,
Republic of Georgia
tel: (8832)996-853, (8832)990-702
Fax: (8832)998-389

Республика Грузия
380007, Тбилиси,
ул.Кикодзе, 14
Институт Экономики
им.П. Гугушвили АН Грузии
тел: (8832)99-68-53, (8832)99-07-02
факс: (8832)99-83-89

გადეცა წარმოებას 28.05.93; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.04.93; ქაღალდის
ზომა 70X108 1/16; ქაღალდი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური; პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 4, 9; საარტიკულო-საგამომცემლო თაბახი 4, 36; ტირაჟი 500; შეკვეთა
N738
ფასი სახელმეკრულებო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN
ACADEMY OF SCIENCES
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ



ეკონომიკის სერია

ECONOMIC SERIES

СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ

ტომი 1, N 1
VOLUME 1, N 1
TOM 1, N 1

40

ჟურნალი დაარსდა 1992 წლის ოქტომბერში
The journal is established in october,1992
Журнал основан в октябре 1992 года

გამოდის წელიწადში 4-ჯერ
The journal is published 4 times a year
Выходит 4 раза в год

თბილისი „მეცნიერება“
TBILISI "METSNIEREBA"
ТБИЛИСИ "МЕЦНИЕРЕБА"
1993

შინაარსი

მთავარი რედაქტორისაგან	3
ა.გუნია	
მოსახლეობის ცხოვრების დონე - ეკონომიკური განვითარების ამსახველი ფაქტორი	5
ჯონ კონვეი ო'ბრაინი	
ევოლუციური ეკონომიკა: არის კი ყველაფრის გვირგვინი?	18
ლ. ჩიკავა	
დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემა და კლასიფიკაცია	32
ჟერარ სიერკსმა, ალბერტ ე. სტინგი, ელმერ სტერკენი	
სტოპლერ-სამუელსონის და კემპ-ვიგის თეორემების განზოგადება	50

CONTENTS

Editorial Note	3
A.Gunia	
Living Standard of Population - the Factor Reflecting the Development of Economic Standard	5
John Conway O'Brien	
Evolutionary Economics: The End of it All?	18
L.Chikava	
The System and Classification of Demographic Sciences	32
Gerard Sierksma, Albert E. Steenge, Elmer Sterken	
A Generalization of the Stolper-Samuelson and Kemp-Wegge Theorems	50

СОДЕРЖАНИЕ

От главного редактора	3
Гуния А.Л.	
Жизненный уровень населения - фактор, отражающий уровень экономического развития	5
Джон Конвей О'Брайен	
Эволюционная экономика: венец ли всего?	18
Чикава Л.Л.	
Система и классификация демографических наук	32
Жерар Сиэрксма, Альберт Е. Стинг, Элмер Стеркен	
Обобщение теорем Столпера-Самуэльсона и Кэмп-Вига	50



მთავარი რედექტორისგან

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია. ეკონომიკის აღმონისტრაციულ-საკომანდო სისტემიდან საბაზროზე გადასვლის პრობლემები მწვავედება საკუთარი ეკონომიკური სივრცის არ არსებობით, რის გარეშეც რეალური სუვერენიტეტის მიღწევა შეუძლებელია. ამის გამო საქართველოს წინაშე მდგარი ეკონომიკური რეფორმის ბევრ პრობლემას ახასიათებს ისეთი თავისებურებანი, რაც მოითხოვს სპეციალურ მეცნიერულ გამოკვლევას.

ჟურნალში „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე: ეკონომიკის სერია“ 1993 წლიდან სტატიები გამოქვეყნდება სამ - ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ჟურნალი ფართო პროფილიანია, მის გვერდებზე გაშუქებული იქნება ეკონომიკის როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოში, აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის პრობლემებს.

სამწუხაროდ, დამკვიდრებულ გარემოებათა გამო, ქართველ ეკონომისტებს საკმაოდ იშვიათად შეეძლოთ საქართველოს საზღვრებს გარეთ მკითხველთა ფართო აუდიტორიის წინაშე სამსჯავროზე გამოეტანათ საკუთარი მეცნიერული გამოკვლევების შედეგები. ვვინდა გვეგონოდა რომ ჩვენი ჟურნალი ხელს შეუწყობს ამ პრობლემის დაძლევისაკ, რადგანაც ვიმედოვნებთ, რომ მისით დაინტერესდებიან ბევრ სამეცნიერო ცენტრებში.

ჩვენ ვიწვევთ ყველა ქვეყნის მეცნიერ-ეკონომისტებს, რათა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე გამოაქვეყნონ აქტუალური სტატიები.

მკითხველებს კი ვბირდებით, რომ ისინი შეძლებენ ჩვენს ჟურნალში გაეცნონ ბევრ საინტერესო სტატიას, რომლებიც მიეძღვნება პრაქტიკულად ყველა იმ პრობლემას, რომლებიც აღელვებენ ეკონომისტებს.

და ბოლოს სარედაქციო კოლეგია იმედოვნებს, რომ ყველა ვისაც აღელვებს ჟურნალის ბედი, საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების ბედი მხარს და გვიჭერს და შეძლებისდაგვარად დაგვეხმარება.

ვ. პაპავა

Editorial note

The economy of the Republic of Georgia is in difficulties. The problems of a transition from an administrative-command system to a market economy are intensified by the absence of its own economic space, without which it is impossible to get real sovereignty. Because of that many problems of economic reforms confronting Georgia have a number of specific peculiarities demanding special scientific research.

The journal "Proceedings of the Georgian Academy of Sciences: Economic Series" beginning from 1993 is published in three languages - Georgian, English and Russian. The journal is a multiprofile, in its pages both theoretical and applied problems of economics will be discussed. Special attention will be given to the problems of economic reforms in Georgia, other countries of East Europe and republics of the former USSR.

Unfortunately, well-known circumstances not always allowed Georgian economists to submit to broad audience of readers outside Georgia, the results of their scientific research. We'd like to believe our journal will

2010

საქართველოს
ეკონომიკა



help to overcome this problem too, for, as we hope, many scientific centres may take interest in it.

We invite scientist economists of all countries to publish up-to-date articles in our journal's pages.

We assure readers that they can find many interesting points in our journal concerning, practically all economic problems.

Finally, the editorial board of the journal hopes for the active support from those who are not indifferent to the future of the journal and economic science in Georgia.

V. Papava

От главного редактора

Экономика Республики Грузия переживает тяжелые времена. Проблемы перехода от административно-командной системы экономики к рыночной обостряются отсутствием собственного экономического пространства, без которого невозможно достичь реального суверенитета. Вследствие этого многие проблемы экономических реформ, стоящих перед Грузией, имеют ряд специфических особенностей, что требует специального научного исследования.

В журнале "Известия Академии Наук Грузии: серия экономическая", начиная с 1993 года, статьи публикуются на трех - грузинском, английском и русском - языках. Журнал широкопрофильный, на страницах которого будут освещаться как теоретические, так и прикладные проблемы экономики. Особое внимание будет уделено проблемам экономической реформы в Грузии, других странах Восточной Европы и республиках бывшего СССР.

К сожалению, сложившиеся обстоятельства далеко не всегда позволяли грузинским экономистам выносить на суд широкой аудитории читателей за границами Грузии результаты своих научных исследований. Хочется верить, что наш журнал будет способствовать преодолению и этой проблемы, ибо надеемся, что им заинтересуются во многих научных центрах.

Мы приглашаем ученых экономистов всех стран публиковать актуальные статьи на страницах журнала.

Читателей же заверяем, что они смогут найти много интересного в журнале: будут рассмотрены практически все волнующие экономистов проблемы.

И наконец, редакционная коллегия надеется на активную поддержку всех, кому дорога судьба журнала, судьба экономической науки в Грузии.

V. Papava

მოსახლეობის ცხოვრების დონე - ეკონომიკური განვითარების ამსახველი ფაქტორი

ა. გუნია

თბილისი 380007

ქიქოძის ქ. 14

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის

ბ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინ-ტი

შემოვიდა 1992 წ. 3 დეკემბერს

რეზიუმე. სტატია ეძღვნება საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონის (მისი დაცემის) პრობლემებს და იმ ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ პროცესის შეჩერებაზე. კერძოდ განიხილება ისეთი საკითხები როგორცაა: რესპუბლიკის ეკონომიკური ორიენტაცია, მოსახლეობის ქონებრივი და პროფესიული დიფერენციაცია (მომუშავეთა), სახელმწიფო ქონების პრივატიზება, როგორც რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთ-ერთი საშუალება და სხვა.

საქართველოში ამჟამად ძალიან დაძაბული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარებაა. მართალია, ეს დროებითი მოვლენაა და ძნელია ამგვარ პირობებში რომელიმე ეკონომიკურ პრობლემაზე სიღრმისეული (პროგნოზული) მსჯელობა, რადგან ძალიან ხშირად ისეთი მოულოდნელი მოვლენები ხდება რომელნიც როგორც წესი, არსებით გავლენას ახდენენ ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებზე და რაც მთავარია ისინი ფრიად უარყოფით გავლენას ახდენენ სახალხო მიერწინების მდგომარეობაზე (ბლოკადები, დივერსიები, ბანდიტიზმი, სახელმწიფო და მოქალაქეთა პირადი ქონების დატაცება, სტიქიური მოვლენები - მიწისძვრა, ზეგვების ჩამოწოლა, ლტოლვილები და სვა) ყოველივე ეს მოითხოვს მოსახლეობის მაღალ ორგანიზებულობას, შრომისადმი განსაკუთრებულად დიდ პალხისმგებლობას (რაც რამდენადმე შესუსტებულია) და არსებული მატერიალური, ბუნებრივი და შრომითი რესურსების მიზანდასახულად და მომჭირნებით გამოყენებას. ამის გარანტიად უნდა იქცეს რესპუბლიკის შრომითი და სამეცნიერო პოტენციალის მაღალი ეფექტიანობა, რომლის გარეშე შეუძლებელია არა მარტო არსებული საწარმოო ძალების მაქსიმალურად რაციონალური გამოყენება, არამედ ამ ძალების შემდგომი ზრდაც. ამჟამინდელი დაძაბული ეკონომიკური ვითარება გამოწვეულია იმ სიღრმისეული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროცესებით რომელნიც დაკავშირებულნი არიან ძველი ეკონომიკური სისტემიდან ახალ სისტემაზე გადასვლასთან. ეს კანონზომიერია, რადგან ძველი ეკონომიკური სტრუქტურები დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებდნენ და საკმაოდ ღრმა ფესვები ჰქონდათ სახალხო მიერწინებაში, ხოლო ახალნი შედარებით მძიმედ მკვიდრდებიან.

იმ ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს რომლებიც ამჟამად საქართველოში მიმდინარეობენ ძალიან სპეციფიკური - ეროვნული ხასიათი აქვთ და მათი გადაწყვეტისათვის რესპუბლიკამ, მართალია უცხოური მაგალითის გათვალისწინებით, მაგრამ საბოლოოდ თვითონ უნდა გადაწყვიტოს ყველა პრობლემა, თავისი ძალებითა და საშუალებებით, რომელიც მას ამისათვის რეალურად აქვს. ამიტომ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში როგორც ამჟამად ისე მომავლისათვის რესპუბლიკის გამოცდილებას უნდა მიეცეს პრიორიტეტი და სწორედ ეს უნდა იყოს ეკონომიკაში კანონმდებლობის როგორც თეორიული, ისე ცხოვრებისეული (პრაქტიკული) საფუძველი. საქართველოში ამჟამად ჭანსალი ძალების მიერ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დამყარდეს დემოკრატიული



სახელმწიფოს სისტემა, ამგვარ სახელმწიფოს, ეპეს გარეშეა, რომ უნდა შექმნას ეკონომიკის დემოკრატიული სისტემა.

ეს კი შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოებრივი მართვის დემოკრატიული სტრუქტურების განმტკიცებით, ეკონომიკურად, სოციალურად და პოლიტიკურად სწორი, ყოველმხრივ აწონ-დაწონილი, ობიექტური და პრინციპული, ყველა პირობებში საქართველოსათვის, მისი მოსახლეობისათვის სასარგებლო საგარეო-ეკონომიკური ორიენტაციით.

ახლა მსოფლიოში ისეთი ვითარებაა (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მსოფლიოსა და ვეროპის სხვადასხვა სახის საერთაშორისო გაერთიანებები და ორგანიზაციები), რომ ვერაინ ვერ დაიმორჩილებს, ვერც ეკონომიკურად და ვერც პოლიტიკურად ვერცერთ მცირერიცხოვან ერს, თუ მას აქვს მალალი შემოქმედებითი და შრომითი პოტენციალი. პირიქით, ამგვარი ერი, როგორც წესი ყოველთვის იქნება პატივისცემისა და კეთილგანწყობილების ობიექტი, რომელთან მეგობრობა, ურთიერთდახმარება და საქმიანობა ყოველთვის სასურველი იქნება.

ამაში უაღრესად დიდი როლი ენიჭება სახელმწიფოს ეკონომიკურ სისტემას, მის ეკონომიკურ საფუძველს - საკუთრების ფორმას.

ჩვენ ვიზიარებთ ბრინკაპს საკუთრების მრავალფეროვნების (სახეების), მათი მოქმედების თანასწორუფლებიანობის შესახებ (სახელმწიფო, კოოპერატიული, კერძო, მათი სხვადასხვა სახეობები). ცხოვრება, პრაქტიკა გვიჩვენებს იმას, თუ რომელი მათგანი უფრო მისაღები, ეკონომიკურად გამართლებული იქნება საქართველოში. ეს კი გამოქვდავდება კონკურენტულ შეჯიბრებაში. ჩვენის აზრით, ეს რეალური გზაა ეკონომიკის აღორძინებისათვის.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრე (1991 წ. 1 იანვრისათვის, სრული პირვანდელი ღირებულებით, ფაქტიურ ფასებში) შეადგენდა 73365,0 მლნ. მანეთს (ეს ის ქონებაა, რომელიც შექმნილია ადამიანის შრომის შედეგად, მრავალი წლის განმავლობაში). ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 13441,5 მანეთს [1, გვ.5]. ამჟამად სხვადასხვა მიზეზების გამო (საომარი მოქმედება, ხიდების, რკინიგზების და სხვადასხვა სახის საწარმოო ობიექტების აფეთქება და დარბევა, სახელმწიფო ქონების დატაცება, ბუნებრივი მოვლენები - მიწისძვრა, ზვავები და სხვა) მნიშვნელოვნად შემცირდა ეროვნული სიმდიდრე, რომელიც ჯერ-ჯერობით აღრიცხულიც არაა.

ეროვნული სიმდიდრის 57,6% (42,3მლრდ. მან. რიცხვი დამრგვალებულია) შეადგენდა ძირითად ფონდებს, 19,6% (14408,5მლნ. მან.) მატერიალურ საბრუნავ საშუალებებს და 22,8% (16688,2მლნ. მან.) მოსახლეობის პირად ქონებას.

მოსახლეობის ერთ სულზე შესაბამისად შეადგენდა - 7744,1, 2639,9 და 3057,5 მანეთს.

ამჟამად საკუთრების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრივობა და პრივატიზება. ამავე დროს ამ უკანასკნელის შედეგია მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია (დანაწილება). ეს ფრიად რთული სოციალური მოვლენაა, რომლის შედეგებზე ახლავეა საჭირო არსებითი ყურადღების გამახვილება, რათა რეალურად იქნეს განხორციელებული მოსახლეობის სოციალური დაცვა.

ამ მიმართულებით ფრიად საყურადღებო, ამავე დროს დამაფიქრებელი მოვლენა ხდება რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში. იქ მიმდინარეობს მოსახლეობის პროფესიული და ქონებრივი (შემოსავლების მიხედვით) დიფერენციაციის პროცესი. მეცნიერ-სოციოლოგთა კვლევის შედეგად რუსეთის მოსახლეობა შემოსავლების (და ახალი, ადრე არ არსებული პროფესიების გათვალისწინებით) მიხედვით დაყოფილია სამ ნაწილად (სამ ფენად): მალალი ანაზღაურების მქონენი (შეადგენენ უმნიშვნელო ნაწილს), ანაზღაურების მქონენი (შეადგენენ შედარებით მცირე ნაწილს) და დახმარების მქონენი (აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი).

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
ინფორმაცია

ამის მიხედვით (1992 წ.) პირველ კატეგორიის მიეკუთვნებიან ისინი ვისა შემოსავალიც შეადგენს 25-80 ათას მანეთს - ბირჟის პრეზიდენტი, მეწარმე (10-55 ათასი მანეთი), მაღაროელი, ბრაკერი (7-10 ათასი მან.), ტურის მუსიკოსი (12-15 ათასი მან.), მათხოვარი (9-10 ათასი მანეთი), კოოპერატორი (7-2 ათასი მანეთი), კომერციული მაღაზიის გამყიდველი (6-12 ათასი მან.), სასმელების ქუჩაში გამყიდველი (8,3-15 ათასი მან.), წიგნების ქუჩაში გამყიდველი (6-14 ათასი მან.). მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან - გენერლები (6-10 ათასი მან.), სახელმწიფო საწარმოების დირექტორები (4-6,5 ათასი მან.), ყვავილების გამყიდველები (4-3,6 ათასი მან.), სახელმწიფო მაღაზიის გამყიდველები (2,5-4 ათასი მან.). მესამე კატეგორიას მიეკუთვნებიან: მშენებლები (2-3 ათასი მან.), ფეხსაცმლის შემკეთებლები (2-2,5 ათასი მან.), ექიმები (1,5-2,7 ათასი მან.), მასწავლებლები (1,9-2,5 ათასი მან.), საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი (1,2-2,5 ათასი მან.), მოსამსახურეები (1,0-2,2 ათასი მან.), დალაკები (1,2-2,5 ათასი მან.), სამარეწველო საწარმოთა მუშები (1,2-1,6 ათასი მან.), აღმზრდელები (1,2-1,5 ათასი მან.), დაბალი კვალიფიკაციის მუშები (1,0-1,3 ათასი მან.). ამრიგად, პირველ კატეგორიაში მოხვდნენ მატერიალური ფასეულობის უშუალო მწარმოებლებიდან მაღაროელი (მათთან ერთად ტურის მუსიკოსი და მათხოვარი, ხოლო ახალ პროფესიებიდან მეწარმე და ბრაკერი), მეორე კატეგორიაში - საწარმოს ხელმძღვანელები (აქვე არიან ყვავილების გამყიდველები და სახელმწიფო მაღაზიის გამყიდველები). ხოლო მესამე კატეგორიაში - მშენებლები, საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი, ექიმები; მასწავლებლები, მოსამსახურეები, მწველავები, მუშები.

დასაქმებულთა (შესაბამისად მოსახლეობის) ამგვარი დიფერენციაცია (მართალია პირობითია) ფრიად დამაფიქრებელია იმდენად, რამდენადაც ძალიან დადაბლებულია (სიღარიბის უკიდურეს საზღვრამდეა მისული) დასაქმებულთა თითქმის ყველა იმ პროფესიის მუშაკები, რომლებიც უშუალოდ ქმნიან მატერიალურ ფასეულობას და ის სპეციალისტები, რომელნიც დაკავებული არიან მოსახლეობის მოსახურების სფეროში. აქ არსებითად დაკარგულია ზღვარი შემოქმედებითი (მაღალკვალიფიკაციის) შრომისა და შედარებით ნაკლებ კვალიფიკაციის შრომის ანაზღაურებას შორის. მატერიალური ანაზღაურება ვერ ასტიმულირებს საზოგადოებრივი შრომის მაღალ მწარმოებლურობას. გაუფასურებელია ისეთი სპეციალობები, როგორიცაა ინჟინერი (სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში), ექიმი, მასწავლებელი, ანუ მშრომელთა ის კატეგორიები რომლებიც მასობრივად დასაქმებული არა მარტო მატერიალური წარმოების სფეროში, არამედ მოსახლეობის, ახალგაზრდობის სულიერ აღზარდისა და ჯანმრთელობის სფეროში. ამგვარი დიფერენციაცია (თუ ხანგრძლივი ხასიათი ექნება) დასაქმებულთა შორის, იწვევს მთელი მოსახლეობის დიფერენციაციასაც, რამაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს ანტაგონიზმი, ადამიანთა დაპირისპირება, მათი ეკონომიკური და სოციალური დისკრიმინაცია (შებღალვა). რამაც შესაძლებელია საზოგადოება დეგრადაციამდე მიიყვანოს.

ჩვენ შეგნებულად დავუთმეთ ამ საკითხს ბევრი ყურადღება, რადგან ამგვარ მოვლენებს (რასაკვირველია უფრო მცირე მასშტაბებით) ადგილი აქვს საქართველოშიც.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით უკვე დაიწყო მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია. უფრო ნათლად იკვეთება მოსახლეობის ქონებრივი განსხვავებები. ასე მაგალითად, როგორც ეროვნული სტატისტიკის კომიტეტის მეცნიერ-თანამშრომლების მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს მოსახლეობა მისი ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად (1992 წ. მაისი) შეადგენდა:

- მდიდრები - 8%
- საშუალო - 15%
- დანარჩენი - 77%

ამრიგად, ნათლად გამოიკვეთა ღარიბთა საკმაოდ დიდი ზეგდრითი წილი. როგორც ჩანს უკანასკნელ წლებში (1990-1992 წწ.) მიმთინაობს საქართველოს



მოსახლეობის გალატაკების აქტიური პროცესი (1991 წ. ამგვარი კატეგორიის წევრებით წილი, ჩვენი გაანგარიშებით შეადგენდა 50%). ეს ფრიად საგანგაშო მდგომარეობაა, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად მიმართულ ეკონომიკურ და სოციალურ ღონისძიებებთან გატარების დროს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია (შესაბამისი ქონებრივი ფენების შექმნა), მაღალი, საშუალო და დაბალი შემოსავლების მიხედვით. მაგრამ, ისიც რეალობაა, რომ დაბალი შემოსავლიანობის ფენების უზრუნველყოფა შეიძლება. მათი საარსებო მინიმუმი უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის ნორმალური (შესაბამისად სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობისა) ცხოვრების მოთხოვნილებებს. ეს მართო სოციალური დაცვის ცალკეული ღონისძიებებით არ გაკეთდება. ეს უნდა გახდეს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მუდმივი ფაქტორი. ხომ ცნობილია, რომ თვით ცნება „მოსახლეობის ცხოვრების დონე“ ფრიად პირობითა და რეალურად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დონეზეა სახელმწიფოში ეკონომიკის განვითარება, მისი კონკრეტული მდგომარეობა. ამჟამად საარსებო მინიმუმის (ცხოვრების დონის) ფაქტორი ძალიან მერყევა და შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ამას ხელს უწყობს ის, რომ მიმდინარეობს ეკონომიკური სისტემის, ეკონომიკური სტრუქტურების შეცვლა. მაგრამ ყოფილ სსრ კავშირის რესპუბლიკებში ეს პროცესი ფრიად მძიმე ვითარებაში ხორციელდება. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია ის, რომ ხანგრძლივ პერიოდის განმავლობაში ტარდებოდა თავისუფალ საბაზრო ურთიერთობათა სტრუქტურების საწინააღმდეგო ღონისძიებები. ამას ემატება ფრიად დაძაბული პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა, რამაც მოსახლეობის დიფერენციაციის საგრძნობლად მახინჯი ფორმები გამოამჟღავნა. დარღვეულია პროპორციები არა მარტო საერთოდ შემოსავლებში, არამედ სახელმწიფო ორგანოების მიერ განსაზღვრულ ხელფასებში. ხშირად მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკი ღებულობს უფრო მცირე ხელფასს, ვიდრე დაბალი კვალიფიკაციისა. მართალია, არის პერიოდები (როგორც ახლა საქართველოში და არა მარტო საქართველოში), როდესაც სხვადასხვა პოლიტიკური და კრიმინალური ვითარება მოითხოვს დასაქმებულთა ზოგიერთი სახეების (მილიცია, საჯარისო ნაწილები, სამართალ დამცველი ორგანოები) თანამშრომლებს მაღალი ხელფასი დაენიშნოს. ეს ხდება სახალხო მეურნეობის ზოგიერთ სხვა დარგებშიც (ტრანსპორტი, ნავთობის, ქვანახშირის მოპოვება), მაგრამ ამას მხოლოდ დროებითი ხასიათი უნდა ჰქონდეს, რათა აცილებული იყოს შესაძლებელი ნეგატიური მოვლენები.

საბაზრო მექანიზმის ფორმირების ერთ-ერთი, ფრიად არასასიამოვნო სოციალური მოვლენაა უმუშევრობა. ეს ეკონომიკური და სოციალური ფაქტორი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს არა მარტო სახელმწიფო ორგანოების მიერ, არამედ ყველა საწარმოსა და დაწესებულებებისგან, იმაზე თუ რა მოცულობითაა (რაოდენობით) უმუშევართა ფენა, ბევრადაა დამოკიდებული მოსახლეობის ცხოვრების დონე.

საქართველოს შრომის სოციალური დაცვის და დემოგრაფიის სამინისტროს მონაცემების მიხედვით (1992 წ. ივლისისთვის) საქართველოში 8 ათას კაცს ჰქონდა უმუშევრობის ოფიციალური სტატუსი, რომლებიც ღებულობდნენ შესაბამის დახმარებას. ხოლო უმუშევართა ბირჯაზე რეგისტრირებულ სამუშაოს არმქონეთა რაოდენობამ მიაღწია 50 ათას კაცამდე, რაც შრომის უნარიანთა საერთო რიცხვის 1.7% შეადგენდა (ეს მხოლოდ დასაწყისი იყო). ამას თუ დაემატა 12.4 ათასი მრავალშვილიანი ოჯახი და 13.5 ათასი მარტოხელა დედა, რომლებსაც შესაბამისად 20.6 და 17.2 ათასი ბავშვი ჰყავთ და ხელფასებიც საარსებო მინიმუმზე მნიშვნელოვნად ნაკლები ჰქონდათ, გასაგებია, რომ ყურადღების გამახვილება შესაბამისი ორგანოების მიერ წარმოადგენს გადაუდებელ ამოცანას.



უმუშევრობა (როგორც ზემოთ იყო აღნიშნული) საბაზრო მექანიზმის ფორმირების თანამდევრი პროცესია, მაგრამ ის ამევე დროს მართვადია. ხელისუფლებას აქვს საშუალებები მისი შემსუბუქებისათვის შესაბამისი ფორმები და მეთოდები გამოიყენოს (უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური და ორგანიზაციული, კერძოდ გამონათვისუფლებული მუშაკების შიდადარგობრივი, ან დარგთაშორისი გადანაწილება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, ან შეცვლა, ახალი საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით პროფესიების დაუფლება, რასაც საბაზრო ურთიერთობების გაშლასთან ერთად საკმაოდ მასობრივი ხასიათი ექნება და სხვა).

როგორც მოსახლეობის ცხოვრების დონის საერთოდ ამაღლებაში, ისე ეკონომიკური სტრუქტურების ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოებიდან გამონათვისუფლებულთა დასაქმებაში, არსებითი როლი უნდა შეასრულოს მეწარმეობის განვითარებამ. სახელმწიფომ ყოველმხრივ (განსაკუთრებით საგადასახადო პოლიტიკის გატარებით) ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა სახის კოოპერატივების, სააქციო საწარმოების, კომერციული სავაჭრო ქსელის გაფართოებას, ინდივიდუალური და ოჯახური შრომითი საქმიანობის და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გაშლას და სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას, რომელთაც ექნებათ შესაძლებლობა მრავალი (განსაკუთრებით ახალგაზრდა) სპეციალისტის დასაქმებისათვის და ამით მინიმუმამდე იქნას დაყვანილი უმუშევართა რაოდენობა რესპუბლიკაში.

ამასთანავე, ყველა პირობებში გასათვალისწინებელია ადამიანის დაინტერესება როგორც დასაქმებულ შრომით, ისე შესაბამისი მატერიალური ანაზღაურებით. ამას უნდა შექმნას გარანტირებული პირობები საქართველოში საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდისათვის, ხოლო საბოლოოდ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

ჩვენის აზრით, ამ მიმართულებით განსაკუთრებული როლი ენიჭება სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებას (პრივატიზებას), იმას თუ როგორ ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს მივიღებთ ამ უაღრესად რთული ეკონომიკური ღონისძიების გატარებით.

ჩვენის აზრით, აღნიშნულ ეკონომიკურ ღონისძიებას შესაძლებელია არა მარტო დიდი ეკონომიკური შედეგი ჰქონდეს, არამედ მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთ-ერთი საკმაოდ ხანგრძლივი წყაროც გახდეს.

ამჟამად, მიმდინარეობს (მხედველობაშია რუსეთის ფედერაცია) ე. წ. საერთო-სახალხო ქონების განაწილება მოსახლეობას შორის. ეს საერთოდ, ეკონომიკურად და სოციალურად გამართლებული ღონისძიებაა და შეიძლება მნიშვნელოვან წყაროდ იქცეს როგორც კერძო გერგილიანობის გაშლა-განვითარებისათვის, ისე მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის. მაგრამ, ისე როგორც ეხლა ეს პროცესი რუსეთის ფედერაციაში მიმდინარეობს, ამ ამოცანას რეალურად ვერ შეასრულებს და მისი გადმოღება საქართველოს პირობების გაუთვალისწინებლად გამართლებული არ იქნება.

ჯერ-ერთი ეკონომიკური შესაძლებლობები, კერძოდ ეროვნული ქონების მოცულობა რუსეთის ფედერაციისა და საქართველოსი დიდად განსხვავდება. საქმარისია აღინიშნოს, რომ ყოფილ სსრ კავშირში ეროვნული სიმდიდრე აღემატებოდა 4 ტრილიონ მანეთს (1988 წ.). აქედან აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი მოდიოდა რუსეთის ფედერაციაზე. ხოლო საქართველოს ეროვნული ქონება (სიმდიდრე რომელიც შექმნილია ადამიანის შრომით) შეადგენდა (1990 წ.) მხოლოდ 73,4 მლრდ. მანეთს. აქედან 22,8% წარმოადგენდა მოსახლეობის პირად ქონებას, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარება. დარჩენილი 77,2% წარმოადგენდა ძირითად ფონდებს (57,6%) და მატერიალურ საბრუნავ საშუალებებს (19,6%). ამრიგად პრივატიზებას შესაძლებელია დაექვემდებაროს 56,5 მლრდ. მანეთის ეროვნული ქონება (ეს მონაცემები აღებულია იმიტომ, რომ უფრო მყარია. მათზე ინფლიაციის პროცესი ჯერ არ მოქმედებდა ისე ძლიერად, როგორც ეს დამახასი-



ათბელი გახდა 1991-1992 წლებსათვის). აქედან ჩვენის აზრით, არა ნაკლებ 25% (14,2 მლრდ.მან.) უნდა დარჩეს სახელმწიფოს განკარგულებაში. მაშინ საპრივატიზებო კაპიტალი (ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებები) შეადგენს 42,5 მლრდ. მანეთს. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. საქმე იმაშია, თუ როგორი პროპორციებით მოხდება ეროვნული ქონების (ყველა ძირითადი საწარმოო ფონდების) განსახელმწიფოებრივობა.

რეალურად შესაძლებელია პრივატიზებას დაექვემდებაროს (აღნიშნულ დარგების) ძირითადი ფონდები მლრდ. მან. (რიცხვები დამრგვალებულია):

მრეწველობაში -	11,0
სოფლის მეურნეობაში -	6,3
მშენებლობაში -	1,3
ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში -	0,9

სულ	19,5

თუ ამას გამოვაკელით 25% (სახალხო მეურნეობის დარგების თავისებურებებთან დაკავშირებით პროპორციები სახელმწიფოს დაექვემდებარებაში მყოფ და საპრივატიზებო ნაწილთა შორის სხვადასხვა იქნება), მაშინ პრივატიზებას (აღნიშნულ დარგებში) დაექვემდებარება ძირითადი კაპიტალი 14,4 მლრდ. მან. ოდენობით. როგორც მოტიანილი მონაცემებიდან ჩანს ეს არც ისე დიდი თანხაა (ქონება) , რომლის დაქუცმაცება (როგორც ეს რუსეთში გააკეთეს) მიზანშეწონილი იყოს.

აღნიშნულ ღონისძიებას, ჩვენის აზრით, უნდა ჰქონდეს არა მარტო ერთდროული სოციალური დაცვის ხასიათი, არამედ უნდა ჰქონდეს სოციალური დაცვის ხანგრძლივ მოქმედი წყაროს მნიშვნელობა, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკის, მისი სახალხო მეურნეობის მიმე ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის, ეკონომიკის სტაბილიზაციისა და შემდგომი აღმავლობის დაჩქარების მნიშვნელობაც, ვიდრე ის პოპულისტური, ერთდროული ღონისძიება, რომელიც ამ მიმართულებით ტარდება რუსეთის ფედერაციაში. შესაძლებელია ამ ღონისძიების გატარებისათვის საჭირო გახდეს მოსახლეობის თანხმობა. ქონების პრივატიზება ერთდროული ერთმნიშვნელოვანი პროცესი არაა. მიმდინარეობს ყველა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში, გამოდინარე ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებებიდან. როგორც წესი ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (ინგლისი) პრივატიზებას ექვემდებარებიან (განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში) მსხვილი ინდუსტრიული საწარმოები და სახალხო მეურნეობის მთელი დარგები (ქვანახშირის მრეწველობა, ტრანსპორტი, განსაკუთრებით რკინიგზის). ამავდროს, ეს იმ პირობებში ხდება როდესაც ამ ქვეყნებში, როგორც წესი მოსახლეობის სოციალური დაცვა უფრო მაღალ დონეზეა დაყენებული. ზოგიერთ ქვეყნებში (იტალია და სხვა) უფრო მეტად იკავებენ თავს დიდი საწარმოების პრივატიზებისაგან, რათა არ გამოიწვიონ უმუშევრობის ზრდა. საქართველოში ამჟამად სრულებით განსხვავებული პირობებია. აქ ხდება ერთი ეკონომიკური სისტემიდან, საკუთრების საზოგადოებრივი ფორმიდან, გადასვლა საკუთრების მრავალფეროვნებაზე, მათ თანასწორუფლებიანობაზე. იმ დროს, როდესაც ეკონომიკა ხასიათდება (1990-1992 წწ.) კლებადი აღწარმოებით და მისულია მწვავე კრიზისულ მდგომარეობამდე, ქონების პრივატიზების პროცესიც შესაბამისად თავისებურებებით ხასიათდება. აქ მაქსიმალურად (ორგანულად) უნდა შეირწყას ორი ძირითადი ეკონომიკური და სოციალური პროცესი - ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლა, სტაბილურობა, მისი აღმავლობა და მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფა. ამ ორ ეკონომიკურ და სოციალურ მაჩვენებელთა ურთიერთდაკავშირით თან უნდა სდევდეს საბაზრო ურთიერთობათა განვითარებას ყველა ეტაპზე.



ამჟამად მსოფლიოს საზოგადოებრივი განვითარების ისეთი დროა (ეტაპი) რომ კაპიტალიზმი, როგორც ეკონომიკური და სოციალური ფორმაცია, უფრო წარსულს მიეკუთვნება, ვიდრე მომავალს. ხოლო სხვა, უფრო მაღალორგანიზებული და ხალხსადმი ყოველმხრივ კეთილმსურველი (ეკონომიკურად, სოციალურად, პოლიტიკურად, მეცნიერების განვითარების შესაბამისი დონით) საზოგადოების არსებობა ჯერ კიდევ ნაადრევია. ის კი რასაც საზოგადოებრიობამ მიაღწია და დღეს რეალობაა, კიდევ მოითხოვს ყოველმხრივ დახვეწას და სრულყოფას. ალბათ, ოდესმე დიდებმა ისეთი დრო, როდესაც მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგად ადამიანის მატერიალური უზრუნველყოფის პრობლემა გადაწყვეტილი იქნება, ანუ საზოგადოების წინაშე არ იქნება პრობლემა ფიზიოლოგიური არსებობის შესახებ, იგი უზრუნველყოფილი იქნება საარსებო საშუალებებით და მეტწილად ყურადღება გადატანილი იქნება მის სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომელსაც არა აქვს საზღვარი. მაშინ საზოგადოება შექმნის ისეთ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებს, რომლებიც გამოთიშავენ ადამიანთა შორის ანტაგონისტურ (შეუარიებელ) წინააღმდეგობებს, ეს რასაკვირველია, ძალიან შორეული მომავალია, მაგრამ დღევანდელი ზრუნვა ადამიანის საარსებო დონის ამაღლებაზე მისი საწინააღმდეგობაა.

პრივატიზება ამ მიმართულებით, ე. ი. საბაზრო ურთიერთობების განვითარებაში, შესაბამისი ეკონომიკური სტრუქტურების შექმნაში მართალია არსებითი, მაგრამ მხოლოდ ერთი მხარეა. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ენიჭება საქართველოს ერთიანი სახალხო-სამეურნეო ეროვნული კომპლექსის შექმნას, მის ეკონომიკურ სტრუქტურას.

პრივატიზებამ არსებითი ცვლილება უნდა შეიტანოს საკუთრების ფორმების სტრუქტურაში, "ხოლო ჩვენი აზრით მან აგრეთვე არსებითი გავლენა უნდა მოახდინოს მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე, გახდეს მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკურად და სოციალურად მასაზრდოებელი წყარო.

ამრიგად, პრივატიზება თვითმიზანი კი არა, არამედ არსებითი ეკონომიკური ღონისძიებაა, რომელიც საკუთრების მრავალფეროვნების პირობებში საქართველოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლებას უნდა უწყობდეს ხელს. ამასთან დაკავშირებით სახალხო ქონების განაწილება მოსახლეობაზე ე. წ. საპრივატიზებო ჩეკებით (ფასიანი ქაღალდებით) ერთდროული ღონისძიება არაა მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულებით. ამიტომ, ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ აღნიშნული ქონება (რუსეთის ფედერაციაში ეს შეადგენს ეროვნული ქონების 30%) თავმოყრილი იყოს (საპრივატიზებო ობიექტების რაელიზაციის შედეგად) სახელმწიფოს ხელში, შეიქმნას შესაბამისი საპრივატიზებო ფონდი (ანდა სპეციალიზირებული ბანკი) მოსახლეობის სოციალური დაცვის გაძლიერების მიზნით, რომელიც დაგროვილ თანხას დაბანდებს წარმოებაში (განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისთვის), ხოლო შემოსავალს იქიდან გაუნაწილებს მოსახლეობას. ეს განაწილება შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთდროული დახმარების სახით (წელიწადში ერთხელ ან ორჯერ), ისე აქციების საშუალებით. შესაბამისი დივიდენდების სახით. ამგვარი სოციალური დაცვის ღონისძიებას ექნება საკმაოდ დიდი ხნით მოქმედების საშუალება. ხოლო მოსახლეობის სოციალური დაცვის სხვა სახეები იმოქმედებენ პარალელურად.

აღნიშნულ ღონისძიებას შესაძლებელია პირველ ეტაპზე (1-2 წელიწადი) არ ჰქონდეს შექმნილი ძლიერი ეკონომიკური ბაზა, მაგრამ, ექნება პერსპექტივა მისი არსებითი გაძლიერებისათვის სტაბილური მზარდი შემოსავლების საშუალებით, რაც საგნობლად გააძლიერებს მშრომელთა სოციალური დაცვის შესაძლებლობებს. ამრიგად შესაძლებელია მოხდეს ერთგვარი შერწყმა საბანკო და საწარმოო კაპიტალისა მოსახლეობის სოციალური დაცვის გაძლიერების მიზნით. როგორც რუსეთის გამოცდილება (პირველი ნაბიჯები გადადგმული ამ მიმართულ-



ებით) გვიჩვენებს იქ ეს პროცესი (მოსახლეობისდამი საპრივატიზებო ჩვენების დარიგება) საკმაოდ დიდი წინააღმდეგობით მიმდინარეობს, უფრო მეტიც, აღმოცენდა ახალი ნეგატიური მოვლენები (ჩვენებით სპეკულაცია, ყალბი ჩვენების გამოყენება). შემოთავაზებული ღონისძიება, ჩვენის აზრით არა მარტო ააცილებს აღნიშნული სახსრების დაქუცმაცებას, მის არაეფექტიან გამოყენებას, არამედ ხელს შეუწყობს როგორც მოსახლეობის სოციალური დაცვის საკმაოდ მყარ, ხანგრძლივ წყაროს წარმოშობას, ისე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, რაც საბოლოოდ ისევ მიმართული იქნება მოსახლეობის სასარგებლოდ. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთი დიდი ქვეყანაა, ქონების 30% განაწილებამ მოსახლეობაში შესაძლებელია დიდი ზიანი არ მიაყენოს, ხოლო საქართველოს მასშტაბები უფრო მოკრძალებულია და ხელზე გასაცემი თანხაც მცირე იქნება. იგი ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ამასთანავე მას მხოლოდ ერთჯერადი ხასიათი ექნება. ის ვერ აანაზღაურებს მშრომელთა მიერ მრავალი წლის შრომის ანაზღაურებას, რომელიც განითვთებული იყო სახელმწიფო ქონებაში.

პრივატიზების გახორციელებისას, ჩვენი აზრით, საჭიროა ყურადღება მიექცეს მის საბოლოო მიზანს, რომელიც ყველა პირობებში უნდა გამოინარეობდეს სარქარველოს საზოგადოებრივი წარმოების, მისი ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებადნ. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა მთავრობის (ქონების სახელმწიფო კომიტეტის) მიერ გამოქვეყნებული საპრივატიზებო ობიექტების (პირველი რიგის) ნუსხა. გამოქვეყნებულ საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში ასახულია 745 ერთეული, ნაწილი ექსპლოატაციაშია (მოქმედებენ). ამასთან პრივატიზებას დაექვემდებარა დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობანი (სავაჭრო ცენტრები, საბავშვო ბალები, ნახევარფაბრიკატების ფაბრიკის შენობა, მოსწავლეთა სახლები, ადმინისტრაციული შენობები; სპორტდარბაზები, ჰიგიენის სახლი, სარემონტო-მექანიკური ქარხანა, საცხოვრებელი სახლები და სხვა) - სულ, სხვადასხვა რაიონებში - 42 ობიექტი [2, გვ. 3,4].

დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობებიდან, რომლებიც გამოქვეყნებულია, როგორც საპრივატიზებო (552 ობიექტი) - გადაგილებულია თბილისში, კერძოდ: ნაძალადევის რაიონში - 30, კრწანისის - 44, ჩუღურეთის - 54, მთაწმინდის - 48, გლდანის - 7, საბურთალოს - 14, ისნის - 112, დიდუბის - 67, სამგორის - 56, ვაკის - 92.

მოტანილი მონაცემები ფრიად საყურადღებოა და გასათვალისწინებელია. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, როგორც დადებითი, აუცილებელი ეკონომიკური ღონისძიება მიმართული საბაზრო ეკონომიკის, საბაზრო ურთიერთობათა უაღრესად რთული და საპასუხისმგებლო ღონისძიების მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი (პირველი) ნაბიჯი, რამაც არსებითი ცვლილებები უნდა შეიტანოს საკუთრებათა ურთიერთობებში და შესაბამისად საქართველოს ეკონომიკის უფრო ეფექტიან სტრუქტურების ჩამოყალიბებაში.

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს ცხ შესავალ ნაწილშია აღნიშნული პირველი რიგის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა შედგენილია სამინისტროების, უწყებების, ცალკეული იურიდიული და კერძო პირების, აგრეთვე ქალაქების და რაიონების გამგებების მიერ წარმოდგენილი წერილების და განცხადებების მიხედვით და იგი მოიცავს ძირითადად ვაჭრობა-მომსახურების სფეროს, კვების და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებს, სამშენებლო და დაუმთავრებელ ობიექტებს.

თვით ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ეკონომიკურ ღონისძიებაში ჩაბმულია უშუალოდ დაინტერესებული უწყებები, ორგანიზაციები, ადგილობრივი მართვის ორგანიზაციები და სხვა ორგანიზაციები, აუცილებელი და მისასალმებელია. (განსაკუთრებით როდესაც ამ მიმართულებით გადადგმულია მხოლოდ პირველი ნაბიჯები).

ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ფრიად რთული ეკონომიკური და სოციალური ღონისძიება მართავდა. მთავრობის მიერ შექმნილმა უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტმა არსებითი როლი უნდა შეასრულოს მის ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და სამართლებრივ უზრუნველყოფაში. ყოველი ობიექტის პრივატიზება უნდა მოხდეს როგორც კერძო პირების, ისე საწარმოო კოლექტივების და საბოლოოდ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. აქ, როგორც არსად, ყველაზე მეტად უნდა იყოს შერწყმული პირადი და საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სოციალური ინტერესები. ამ თვალსაზრისით, ჩვენის აზრით, მიზანშეწონილია შემდგომ ეტაპზე მაინც უფრო ნათლად და მიზანდასახულად მოხდეს (ალბათ კომიტეტის და მთავრობის მიერ) აღნიშნული პროცესის მართვა (რასაკვირველია პირველ რიგში ეკონომიკური ბერკეტებით).

ამის აუცილებლობა ჩანს უკვე გამოქვეყნებულ საპრივატიზებო ობიექტების ნუსხიდან. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზება ხანგრძლივი პროცესია, მისი რეგულირება აუცილებელია იმითაც, რომ საჭიროა პირველ რიგში გათვალისწინებული იყოს პრობორციები პროდუქციის მწარმოებელ და მის გამსაღებელ ობიექტებს შორის, რათა არ დაირღვეს პრობორციები საქონლის წარმოებასა და მის რეალიზაციას შორის. ამას განსაკუთრებული როლი ენიჭება ახლა, როდესაც ისეთი მკაცრი დეფიციტია ნებისმიერ საქონელზე და განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონელზე. ამაზე ყურადღების გამახვილების აუცილებლობაზე (მით უმეტეს რომ ეს პროცესი მხოლოდ იწყება) მეტყველებს მონაცემები, რომლებიც ასახულია „საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა“-ში. ასე მაგალითად, უნდა აღინიშნოს ის, რომ საპრივატიზებო ნუსხაში მნიშვნელოვანდ ჭარბობენ მშენებლობა დაუმთავრებელი ობიექტები (552). ე. ი. ის ობიექტები, რომლებიც ჯერ-ჯერობით ვერ შეძლებენ (მათ დამთავრებამდე) ვერც პროდუქციის საერთო მოცულობის ზრდას ბაზრის გაჯერებისათვის, ვერც საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების მნიშვნელოვანდ გაუმჯობესებას უახლოეს პერიოდში (1993-1994 წ.)

გარდა ამისა დიდი დისპროპორცია უშუალოდ საქონლის მწარმოებელ საწარმოთა და სავაჭრო მომსახურების ობიექტთა რაოდენობას შორის მოქმედ 193 ობიექტიდან მხოლოდ 80-ია საქონლის მწარმოებელი. ამ უკანასკნელთა რაოდენობაში შედის 36 მცირე უმოქმედო ჰესი, ხოლო დანარჩენ 44 საწარმოში, კომბინატებში, ფაბრიკა-ქარხნებში და სხვა სახის საწარმოებში, რომლებიც აწარმოებენ მასობრივი მოთხოვნილების საქონელს (მათ შორის 18 აწარმოებს სასურსათო პროდუქციას). უმეტესი მიეკუთვნება მცირე ეკონომიკის სფეროს, ხოლო 18 შეიძლება პირობითად მივაკუთვნოთ (გამომდინარე რესპუბლიკის თავისებურებიდან, შედარებით მცირე მასშტაბებიდან) დიდი (მაკრო) ეკონომიკის სფეროს (ლულისა და ხილეული წყლების კომბინატი, ღირებულებით - 7281 ათასი მან., კომერციული მეურნეობა - 5981, საკონსერვო ქარხანა - 2469, ტრიკოტაჟის ფაბრიკა - 6700, საქსოვი წარმოება - 1045, სილის მოპოვების საწარმო - 1863, საკონსერვო ქარხანა - 1114, მეცხოველეობის კომპლექსი - 9800, მელორეობის კომპლექსი - 11485, მეხილეობა-მევენახეობის სახელმწიფო მეურნეობა - 1700, საკონსერვო ქარხანა - 4056, საწარმოო კომბინატი - 1750, საშენ მასალათა საწარმო - 1350, ტრიკოტაჟის ფაბრიკა - 2449, საკონსერვო ქარხანა - 35651, ქარხანა „სულორი“ - 5530 და უმოქმედო (მცირე) ჰესების 2 ობიექტი საერთო ღირებულებით დაახლოებით 103 მლნ მან. ამრიგად 1 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ფაქტობრივად მხოლოდ 18 ობიექტია. დანარჩენი მიეკუთვნება მცირე (მიკრო) ეკონომიკის სფეროს, რომელთა ღირებულება შედარებით მცირეა (1 ათასიდან - 1 მილიონ მანეთამდე, რომელთა ღირებულების საერთო ჯამი შეადგენს დაახლოებით 23 მლნ. მანეთს). როგორც ვხედავთ აღნიშნული ობიექტების პრივატიზების შედეგად მოსახლეობა ჯერ ვერ იგრძნობს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბაზრის საქონლით გაჯერებაში. მაგრამ რეზერვები საკმაოდ დიდია.

ერთ ასეთ მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს საწარმოო ობიექტების პრივატიზების სფეროს გაფართოება. პირველი რიგის ობიექტების პრივატიზების პროცესში მთავალისწინებს რესპუბლიკის მხოლოდ 42 რაიონსა და ქალაქს, ანუ მათი რაოდენობის თითქმის ნახევარს. გარდა ამისა, ზოგ რაიონში საპრივატიზებო ობიექტები ძალიან მოკრძალებულადაა წარმოდგენილი. არსებით რეზერვებს წარმოადგენენ მშენებლობა, დაუმთავრებელი ობიექტების მოქმედებაში შეყვანა. მაგრამ აქაც მიზანშეწონილია მეტი ყურადღება მიექცეს მათი გადადგომის ტერიტორიულ სტრუქტურას. ამჟამად ამგვარი ობიექტების კონცენტრაციის დონე ყველაზე მაღალია თბილისში (აქაცაა ქალაქის რაიონებს შორის საგრძნობი დისპროპორციები ობიექტების გადადგობაში).

ამრიგად, საქართველოს ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემაა საბაზრო ურთიერთობათა განვითარებისათვის პროპორციების სრულყოფა, წარმოებული საქონლის როგორც მიკრო, ისე მაკრო ეკონომიკურ სფეროებსა და მათი რეალიზაციის (საქმიანობის, მომსახურების) - სფეროებს შორის.

ჩვენის აზრით, ეს უნდა ხდებოდეს პარალელურად (მესაძლებელია, თუ ეს პრაქტიკულად განხორციელდება, რომ მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების ობიექტების როგორც პრივატიზება, ისე ახალი მშენებლობა უფრო დაჩქარებული ტემპით წარიმართოს). რაც ხელს შეუწყობს არა მარტო ახალ, არამედ არსებული საბაზრო ობიექტების საქონლით გაჯერების დაჩქარებას.

ამაში უფრო აქტიური როლი უნდა ითამაშოს მიკროეკონომიკამ.

განსაკუთრებული როლი (ამ ეტაპზე) უნდა მიენიჭოს საწარმოო ობიექტებს, რომელნიც ჯერ-ჯერობით სახელმწიფოს განკარგულებაში იქნებიან. ჩვენის აზრით, საჭიროა მიეცეს აღნიშნულ საწარმოებს უფლება წარმოებული პროდუქციის (საქმიანობის, მომსახურების) ნაწილი (დაახლოებით 30-40%) გამოიყენონ (საწარმოო კოლექტივის შეხედულებისამებრ), თავისუფალ ფასებში რეალიზაციისათვის. ამაში სახელმწიფო ორგანოებმა უნდა გაუწიონ შესაბამისი დახმარება (მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა, შედგავითიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარება, საჭირო მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფა და ა. შ.) შესაძლებელია საქონლის ამ ნაწილის მატერიალური უზრუნველყოფა განხორციელდეს სახელმწიფო ფასებში.

აღნიშნული საწარმოების (საქმიანობის, მომსახურების) გააქტიურება, მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა ექვევარეშეა, რომ დადებით გავლენას მოახდენს როგორც ბაზრის გაჯერებაზე საქონლით, ისე ფასების არა მარტო ზრდის შეჩერებაზე, არამედ მათ შემცირებაზეც. ამ უაღრესად დიდ ეკონომიკურმა და სოციალურმა ღონისძიებამ (მხედველობაშია ქონების პრივატიზება) არსებითი გავლენა უნდა მოახდინოს საბაზრო ურთიერთობათა შესაბამისი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ფორმირებაზე, მისი ეკონომიკური სტრუქტურის სრულყოფაზე.

სახალხო-სამეურნეო კომპლექსი, მისი სტრუქტურა განისაზღვრება უპირველეს ყოვლისა ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებით, მისი განვითარებით, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, ეროვნული ეკონომიკური ტრადიციებით, მოსახლეობის ინტელექტუალური ენერჯით, მისი გამოყენების თავისებურებებით, მეცნიერულ-ტექნიკური განვითარებით, შემოქმედებითი შრომის პოტენცილის გამოყენების ეფექტიანობით, საშინაო და საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებისა და ეკონომიკური სტრატეგიის მიმართულებებით.

ეკონომიკის სტრუქტურა საბოლოოდ უნდა ასახავდეს საქართველოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ერთიანობას, მის სტრატეგიულ მიმართულებას და ამ მიმართულების განხორციელების ტაქტიკური საშუალებების შესაბამის ფორმებს და მეთოდებს. ხოლო მისი ძირითადი მიზანი უნდა იყოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება ეკონომიკის განვითარების დონის შესაბამისად.

ამავე დროს სახალხო-სამეურნეო კომპლექსი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მატერიალური რეზერვებით, როგორც საკუთარი (პირველ რიგში) ისე რესპუბლიკ-

ის გარედან შემოტანილით. მხოლოდ მყარი ეკონომიკური (სტრატეგიული) მატერიალური რეზერვები წარმოადგენენ ეკონომიკური სტრუქტურის სრულყოფილ მდგომარეობის სტრატეგიული გეზის განხორციელების რეალურ მატერიალურ-ტექნიკურ საფუძველს. ეკონომიკის სტრუქტურის ფორმირება შეუძლებელია მატერიალური რესურსების სტრატეგიული რეზერვების გარეშე. ამჟამად ეს პრობლემა ფრიად აქტუალურია. ეკონომიკური დამოუკიდებლობა (სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი) როგორც შიგა რესპუბლიკურ, ისე საერთაშორისო ბაზრის საქმიანობაში ჩართვა მოითხოვს მატერიალური რესურსების მარაგების სიმტკიცეს. ყოფილ სსრ კავშირში ეს პრობლემა ცენტრალიზებულად წყდებოდა, ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას ჰქონდა თავისი წილი ამ სტრატეგიულ მარაგში, რომელიც განსაკუთრებულ პირობებში (მატერიალური რესურსების შეზღუდულ პირობებში, რაც გამოწვეული იყო როგორც ეკონომიკის ფუნქციონირების ზოგიერთი რგოლის მუშაობის ციკლის დარღვევით, ან სტიქიური მოვლენების და სხვა მიზეზთა გამო), ნაწილდებოდა რესპუბლიკებს შორის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა რესპუბლიკას არ ჰქონდა საშუალება, რომ ზოგიერთი მატერიალური მარაგი დაეგროვებინა და საჭიროების დროს გამოეყენებინა. ეს ხდებოდა ცენტრალიზებულად. ასე მაგალითად, უკრაინის რესპუბლიკას შეუძლია მარაგებით უზრუნველვოს მხოლოდ 30 ერთეულის (დასახელების) პროდუქციის წარმოება, ხოლო 70-ისათვის შემოქონდათ რესპუბლიკის გარედან (სსრ კავშირის დამალმდე ღებულობდა ცენტრიდან), შუა აზიის რესპუბლიკებს (უზბეკეთი, თურქმენეთი) შესაბამისად 5 ერთეულსა და 95 ერთეულისათვის შემოტანა, ბელორუსიას 10 და 90 ამ მხრივ უფრო უარეს მდგომარეობაში იყვნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, სომხეთი, საქართველო, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი.

ამრიგად, საკუთარი სტრატეგიული ნედლეულის, მასალების და მზა პროდუქციის მყარი რეზერვები ეკონომიკური დამოუკიდებლობის, საბაზრო ურთიერთობათა სტრუქტურების ფორმირების დროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა ხდება. საქართველომ განსაკუთრებით 1990-1992 წწ., რეალურად იგრძნო ამგვარი რეზერვების (ზოგიერთის საერთოდ ამოწურვის) შედეგები. გამომდინარე აქედან უაღრესად აქტუალური გახდა როგორც არსებული, რეალური მარაგების დადგენა, ისე პერსპექტიული რესურსების დაზუსტება. საქართველოში ბევრი სამეცნიერო და სამეურნეო უწყებები და დაწესებულებებია, რომელნიც დაკავშირებული არიან საქმიანობით, მოპოვებით და გადამამუშავებელ სამუშაოთა განხორციელებასთან, მაგრამ ზუსტი (მაქსიმალურად მიახლოებული) მონაცემები რეზერვების შესახებ არსებითად არაა. ეს პრესიდანაც იგრძნობა, როდესაც მსჯელობაა ისეთი არსებითი, სტრატეგიული ნედლეულის მარაგებზე (შესაძლებლობებზე) როგორცაა ნავთობი, ნახშირი, მანგანუმი, დარიშხანი, ძვირფასი ლითონები, განსაკუთრებით ოქრო და სხვ. მაგრამ მონაცემები საკმაოდ განსხვავებულია, რაც არ იძლევა საშუალებას რეალურად დადგინდეს ამ, ეკონომიკურად სტრატეგიული რესურსების, რეალური მდგომარეობა. სახელმწიფოს კი უნდა ჰქონდეს საკმაოდ ზუსტი წარმოდგენა აღნიშნულ რესურსებზე, რათა ნათელი იყოს წარმოდგენა იმაზე თუ რა რესურსებით შეუძლია მან ისარგებლოს სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადასაწყვეტად, შიგა რესპუბლიკური რესურსების გამოყენებით და რა მოცულობით უნდა შემოიზიდოს საჭირო რესურსები სხვა ქვეყნებიდან. ეს ეკონომიკური სტრატეგიის აუცილებელი პირობებია.

17. Ayres, Clarence E., *Toward a Reasonable Society*, Austin, Texas, University of Texas Press, 1961.
18. Scheler, Max, *Formalism in Ethics and Non-Formal Ethics of Values*, Evanston, Illinois, Northwestern University Press, 1973.

ევოლუციური ეკონომიკა: არის კი ყველაფრის გვირგვინი?

ჯონ კონვეი ო'ბრაინი

კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე. სტატიაში ნაჩვენებია, რომ ფასეულობათა სისტემას, რომელიც საფუძვლად უდევს ევოლუციურ ეკონომიკას როგორც აღმოსავლეთში, ისევე დასავლეთში, აქვს საკმაოდ მერწვევი საფუძველი. ამასთანავე უკანასკნელი არ წარმოადგენს ყოფილი სსრკ-ს სახელმწიფოებში არსებული არეულობის მიზეზს. ეს არეულობანი უმეტეს შემთხვევაში აიხსნება ეკონომიკური, ეთიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემებით, რომლებსაც ადგილი აქვთ აშშ-შიც. სწორედ ამიტომ მოცემული სტატია გვთავაზობს ვეძიოთ გამოსავალი იმ ფასეულობათა შემობრუნებით, რომლებიც შეიმუშავა ადამიანმა უხსოვარი დროიდან.

სტატიის პირველ ნაწილში (ტრადიციულ ფასეულობათა მსხვრევა) მოცემულია აღმოსავლეთის ფასეულობათა მსხვრევის ანალიზი, რომელიც დასაბამს იღებს 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციიდან. ნაჩვენებია, რომ დარვინიზმი როგორც სამყაროს უნივერსალობაზე უარის მთქმელი მოძღვრება ფაქტობრივად წყალს ასხამდა კომუნისტურ წისქვილს.

ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ტრადიციული ფასეულობანი დასავლეთშიც ზიანს განიცდიან დამანგრეველი ინდუსტრიული ეფექტების გამო. ამის მიზეზია არა მხოლოდ კომუნიზმი, არამედ ის ბუნებისმეტყველები რომლებიც უარყოფენ ღმერთის არსებობას და ყველაფერს რაც მასთან არის დაკავშირებული.

მეორე ნაწილში (დარვინის თეორია: ნაკლით თუ უნაკლოდ?) მოცემულია დარვინის მექანიკური ევოლუციის კრიტიკა, ნაჩვენებია დარვინის ევოლუციის თეორიასა და ისტორიულ ევოლუციას შორის განსხვავება.

სტატიის მესამე ნაწილში (ტრასტიენ ვებლენი და ევოლუციური ეკონომიკა) მოცემულია ვებლენის ევოლუციური ეკონომიკის კონცეფციის ანალიზი. ვებლენი აღნიშნავს, რომ კულტურული განვითარების პროცესი განისაზღვრება ეკონომიკური ინტერესით, ხოლო ინსტიტუტების (ორგანიზაციების) კუმულატიური რიგი თვით ამ პროცესის ტერმინებში განისაზღვრება.

სტატიის მეოთხე ნაწილში (კლარენს ედვინ აირესი და ფასეულობათა ინსტრუმენტალური თეორია) მოცემულია ფასეულობათა ინსტრუმენტალურ თეორიაზე კ. აირესის შეხედულებათა ანალიზი. კერძოდ, აირესი სოლიდარობას უცხადებს დარვინს, ჰაკსლის, ვებლენს და დიუისს. ამასთანავე ხაზს უსვამს იმ გარემოებას,

რომ ჯონ დოუს პრაგმატიზმი წარმოადგენდა აშშ-ში ტრადიციული მორალის არსებობაზე პასუხს.

Эволюционная экономика: венец ли всего?

Джон Конвей О'Брайен
Калифорнийский государственный университет

Резюме. В статье показано, что система ценностей, лежащая в основе эволюционной экономики как на Востоке, так и на Западе имеет довольно зыбкую основу. Последняя, вместе с тем, не является первопричиной существующих беспорядков в государствах бывшего СССР. Эти беспорядки во многом объясняются экономическими, этническими, политическими и социальными проблемами, имеющими место и в США. Именно поэтому данная статья предлагает искать выход в возвращении к ценностям, которые сохранил человек с незапамятных времен. *Первая часть* статьи ("Разрушение традиционных ценностей") посвящена анализу разрушения и смены традиционных ценностей на Востоке, которое берет начало от Октябрьской Революции 1917 года. Показано, что дарвинизм как учение, отвергающее универсальность мира и целей фактически лил воду на "коммунистическую мельницу". Автор подчеркивает, что и на Западе традиционные ценности оказывались ущербными из-за разоряющих индустриальных эффектов. И если бы даже причина заключалась бы не в "коммунизме", то это все равно имело бы место в силу существования естествознания, представители которого отрицают существование Бога и всего, что связано с ним.

Во второй части ("Дарвиновская теория: с изъяном или без него?") дано различие между дарвиновской теорией эволюции и исторической эволюцией вообще. Дана критика дарвиновской механистической эволюции.

В третьей части ("Торстейн Веблен и эволюционная экономика") дан анализ концепции эволюционной экономики Веблена. Последний, давая определение эволюционной экономики считал, что "теория процесса культурного развития определяется экономическим интересом, а теория кумулятивного ряда институтов (организаций), определима в терминах самого этого процесса".

В четвертой части статьи ("Кларенс Эдвин Айрес и инструментальная теория ценностей") дан анализ взглядов К.Айреса относительно инструментальной теории ценностей. В частности, Айрес солидарен со взглядами Дарвина, Хаксли, Веблена и Дж.Дьюи, подчеркивая при этом, что прагматизм последнего был ответом традиционной морали в США.

დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემა და კლასიფიკაცია

დ. ჩიქავა

თბილისი 380007

ბუშინის ქ. 5/7

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის
 დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი
 შემოვიდა 1993 წ. 21 იანვარს

რეზიუმე. დემოგრაფია მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შემსწავლელი საკმაოდ რთული, მრავალწახანაგოვანი, კომპლექსური საზოგადოებრივი მეცნიერებაა. იგი თავიდან წარმოდგენილი იყო როგორც ერთი დამოუკიდებელი მეცნიერება, მაგრამ დროთა ვითარებაში მოხდა ძირითადი მეცნიერული მიმართულებების მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინების სახით გამოყოფა, აგრეთვე მონათესავე მეცნიერებათა მიჯნაზე ახალი დემოგრაფიული დისციპლინების წარმოქმნა და, საბოლოო ჯამში, დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემად ჩამოყალიბება. ეს უკანასკნელი გულისხმობს დემოგრაფიულ დისციპლინათა ორგანულ ურთიერთ კავშირსა და ურთიერთ განპირობებულობას, რომელშიც თითოეულ მათგანს დემოგრაფიული ქცევის მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით თავისი გარკვეული წვლილი შეაქვს და მხოლოდ ყველა ერთად იძლევა რამდენადმე სრულ წარმოდგენას მოსახლეობის აღწარმოების შესახებ. დემოგრაფიის ზოგადი თეორია დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაწარმოქმნელი მეცნიერებაა, რომლის ზოგადთეორიულ და მეთოდოლოგიურ დასკვნებს ეფუძნება მის ბაზაზე აღმოცენებული ყველა დემოგრაფიული პროფილის მეცნიერება.

დემოგრაფიული მეცნიერებანი პირობითად შეიძლება დაავჯგუფოთ ორ ბლოკად: ზოგად-თეორიული (დემოგრაფიის ზოგადი თეორია, დემოგრაფიული მეცნიერების ისტორია, ისტორიული დემოგრაფია, დემოგრაფიული სტატისტიკა, მათემატიკური დემოგრაფია, დემოგრაფიული პროგნოზირება, რეგიონული დემოგრაფია), რომლებიც უპირატესად თეორიულ ასპექტში იკვლევენ მოსახლეობის აღწარმოების გლობალურ პრობლემებს და კონკრეტული (ეკონომიკური დემოგრაფია, სოციოლოგიური დემოგრაფია, ეთნიკური დემოგრაფია, სამედიცინო დემოგრაფია, სამხედრო დემოგრაფია), რომლებიც აღმოცენდნენ მონათესავე მეცნიერებათა მიჯნაზე და სწავლობენ მოსახლეობის აღწარმოების ლოკალურ, ცალკეულ კონკრეტულ საკითხებს.

დემოგრაფია შედარებით ახალი, მაგრამ საკმაოდ რთული, მრავალწახანაგოვანი, კომპლექსური საზოგადოებრივი მეცნიერებაა. მას ერთ-ერთი ცენტრალური და საპატიო ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის, რამდენადაც სწავლობს კაცობრიობის საგანძურში ყველაზე გამორჩეული ფასეულობის - მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებს. მოსახლეობის აღწარმოება, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობას (თაობათა ცვლას, მათ განახლებას) გულისხმობს, მაგრამ დემოგრაფიის კვლევის საგანი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ფართო გაგებით, იგი მოიცავს მოსახლეობის მექანიკური, ანუ მიგრაციული მოძრაობის საკითხებსაც, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ მოსახლეობის აღწარმოების საერთო კანონზომიერებებს. დემოგრაფია მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებს იკვლევს არა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობებისაგან მოწყვეტილად, არამედ მათთან მჭიდრო კავშირში.

მოსახლეობის აღწარმოება, მისი რიცხოვნობის განახლებასთან ერთად, სტრუქტურის მუდმივ განახლებასაც გულისხმობს, რომელიც ხორციელდება როგორც მომავალი თაობის ახლით შეცვლის, ისე მოცემული სტრუქტურული ნაწილების სხვაში გადასვლის გზით. ტერმინი „მოსახლეობის აღწარმოება“ თავის თავში მოიცავს მოსახლეობის განახლებასა და სტრუქტურულ ცვლილებებს სქესისა და ასაკის, სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების, ეროვნების, ოჯახური მდგომარეობის, ტერიტორიაზე გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის (ქალაქი, სოფელი), განათლების, პროფესიულ-კვალიფიკაციური ნიშნის და მრავალი სხვა პარამეტრის მიხედვით, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობით. დემოგრაფია მოსახლეობაში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს სწორედ ასეთ ფართო პლანში განიხილავს და მიღებულ დასკვნებს საზოგადოების სამსახურში აყენებს.

ადამიანთა თაობის განახლებას, ე. ი. შობადობის, მოკვდაობის, აგრეთვე ქორწინებისა და განქორწინების პროცესების ურთიერთ ზემოქმედებასა და მთლიანად მოსახლეობის აღწარმოებას, გარდა დემოგრაფიისა არცერთი მეცნიერება არ სწავლობს. დემოგრაფია თავიდან წარმოდგენილი იყო როგორც ერთი დამოუკიდებელი მეცნიერება, მაგრამ განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის მოხდა მისი ახალ თვისებრივ საფეხურზე ასვლა, ძირითადი მეცნიერული მიმართულებების მეტნაკლებად დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინების სახით (ისტორიული დემოგრაფია, დემოგრაფიული სტატისტიკა, მათემატიკური დემოგრაფია, დემოგრაფიული პროგნოზირება და სხვა) გამოყოფა, აგრეთვე მონათესავე მეცნიერებათა მიჯნაზე ახალი დემოგრაფიული დისციპლინების (ეკონომიკური დემოგრაფია, სოციოლოგიური დემოგრაფია, სამხედრო დემოგრაფია და ა. შ.) წარმოქმნა და, საბოლოო ჯამში, დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემად ჩამოყალიბება. ეს უკანასკნელი დემოგრაფიულ მეცნიერებათა უბრალო არითმეტიკულ ჯამს როდი ნიშნავს. ესაა დემოგრაფიულ დისციპლინათა ისეთი ორგანული ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა, რომელშიც თითოეულ მათგანს დემოგრაფიული ქცევის მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით თავისი გარკვეული წვლილი შეაქვს და მხოლოდ ყველა ერთად იძლევა მეტნაკლებად სრულ წარმოდგენას მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში ყველა დისციპლინის როლი და მნიშვნელობა ერთნაირი არაა. დემოგრაფიულ დისციპლინათა მთელ სპექტრში გამორჩეული ადგილი აქვს მიჩენილი დემოგრაფიის ზოგად თეორიას, ანუ დემოგრაფიის ზოგად-თეორიულ კურსს¹, (რომელიც ლიტერატურაში მეტწილად დემოგრაფიის სახელწოდებით მოიხსენიება). იგი გვევლინება დემოგრაფიულ დისციპლინათა სისტემაწარმოქმნელ მეცნიერებად, რომლის ზოგადთეორიულ და მეთოდოლოგიურ დასკვნებს ეფუძნება (დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების უფრო ღრმად, საფუძვლიანად და ყველმხრივ შესწავლის მიზნით) მის ბაზაზე აღმოცენებული ყველა დემოგრაფიული პროფილის მეცნიერება.

იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემა და გარკვეული კრიტერიუმის გათვალისწინებით მოვახდინოთ მათი კლასი-

1 ზოგიერთი მეცნიერ-დემოგრაფი, კვლევის ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე მის სინონიმად თვლის დემოლოგიას [1; გვ. 10, 233] მსგავსად ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის, არქეოლოგიისა და ა. შ., რაც პრინციპში საფუძველს მოკლებული არაა, მაგრამ მან დემოგრაფიულ ლიტერატურაში ვერ პოვა აღიარება. ეს ტერმინი თავდაპირველად შემოთავაზებულ იქნა გერმანელი სტატისტიკოსის ე. ენგელის მიერ 1871 წელს.



ფიკაცია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ სისტემაში შემავალი დემოგრაფიული დისციპლინების შესწავლის საგნის მოკლე დახასიათება.

დემოგრაფიის ზოგადი თეორიის¹ ამოცანაა ისეთ გლობალური თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემების ფუნდამენტური კვლევა, როგორიცაა: მოსახლეობის აღწარმოების მამოძრავებელი ძალები; მოსახლეობის აღწარმოების ეკონომიკური, სოციალური, სოციალურ - ფსიქოლოგიური და რიგი სხვა ფაქტორებით განპირობებულობა; მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმების განვითარების ისტორიული ტენდენციების ახსნა; დემოგრაფიული გადასვლები და მოსახლეობის აღწარმოების ტიპები; სოციალურ-დემოგრაფიული პროცესების ანალიზის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები და სხვა.

დემოგრაფიის ზოგადი თეორია როგორც მეცნიერება ემყარება არა მარტო საკუთარ თეორიულ საფუძვლებს, არამედ მთელ რიგ ეკონომიკურ, ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ და სხვა დისციპლინებში დამკვიდრებულ ცნებებსა და კატეგორიებს, კანონებსა და კანონზომიერებებს, თეორიულ კონცეფციებს. დემოგრაფიის ზოგადი თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ დაგროვილი ცოდნის სისტემატიზაცია და მისი ლოგიკური შეკვრა. ამ პროცესს საფუძვლად უნდა დაედოს საერთო თეორიული კონცეფციები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობაში მიმდინარე პროცესების ახსნას, ტენდენციების ანალიზს, აგრეთვე დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების უახლოეს მომავალსა და შორეულ პერსპექტივაში განვითარების პროგნოზირებას.

დემოგრაფია ფართოდ იყენებს ისეთ სპეციფიკურ ცნებებსა და კატეგორიებს, როგორიცაა შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება, მოსახლეობა, ეროვნება, ოჯახი, მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი, თაობა, კოპორტა, დემოგრაფიული ქცევა და სხვა. თითოეულ მათგანს თავისი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს, რომელიც აადვილებს დემოგრაფიულ მოვლენებს შორის არსებული კავშირების მეცნიერულ ანალიზს.

დემოგრაფია სწავლობს მოსახლეობის განვითარების კანონებს, რომლებიც ცალკეულ საერთო ნიშნების (ობიექტური ხასიათი და სხვა) მიუხედავად განსხვავდებიან როგორც საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონებისაგან, ისე ბუნების განვითარების კანონებისაგან. აქაც შეიძლება გამოვყოთ საყოველთაო და სპეციფიკური კანონები. პირველის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თაობათა განახლების (თაობათა ცვლის) კანონი, აგრეთვე დემოგრაფიული გადასვლის კანონი, რომელიც ნიშნავს მოსახლეობის აღწარმოების ძირითადი ტიპების ცვალებადობას, დემოგრაფიულ პროცესთა სისტემაში მომხდარი ძირეული (არსებითი) ძვრების საფუძველზე ერთი მდგომარეობიდან მეორეში გა-

1 დ. ვალენტე და ა. კვაში მის თეორიულ დემოგრაფიას უწოდებენ [1: გვ. 224-230], რაც თითქოს საფუძველს მოკლებული არაა, მაგრამ შინაარსისა და სახელწოდების შესაბამისობის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, შევამჩნევთ მის სუსტ მხარეებს. ჯერ ერთი, შინაარსის მიხედვით საკითხი ეხება დემოგრაფიის თეორიულ ასპექტებს, ზოგად (გლობალურ) თეორიულ პრობლემებს და არა მის, როგორც დემოგრაფიული დისციპლინის, თეორიულ ან პრაქტიკულ მნიშვნელობას; და მეორე, ასეთი სახელწოდება იმაზე მიგვანიშნებს რომ თეორიული საკითხების კვლევა თითქოს საერთოდ არ შედიოდეს სხვა ზოგად და კონკრეტულ დემოგრაფიულ მეცნიერებათა კვლევის სფეროში. ჩვენი აზრით, ამგვარ ხარვეზებს ნაკლებად შეიცავს სახელწოდება დემოგრაფიის ზოგადი თეორია.

დასვლას. კანონი - ტენდენციის სახით წარმოგვიდგება მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებაც, რომელიც ნიშნავს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ხანდაზმულთა და მოხუცებულთა (შრომის უნარიან ასაკს გადაცილებულთა) ზედდრითი წილის გადიდებას. განასხვავებენ „ქვემოდან დაბერებას“, რომელიც განპირობებულია შობადობის შემცირების შედეგად ბავშვთა რიცხოვნობის თანდათანობით კლებით, და „ზემოდან დაბერებას“, რომელსაც იწვევს, ბავშვთა რიცხოვნობის ნელ ზრდასთან ერთად, ხანდაზმულთა და მოხუცებულთა რიცხოვნობის ზრდა მათ ასაკში მოკვდაობის შემცირების (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდის) შედეგად. ასეთი მოვლენები საზოგადოების განვითარების ადრინდელ ეტაპებზეც შეიმჩნეოდა, მაგრამ მან მოსახლეობის აღწარმოების კანონის სახე მხოლოდ იმ დროიდან მიიღო, როცა საყარო და მუდმივ განმეორებად კანონზომიერებად იქცა (ალსანიშნავია, რომ საქართველოში 1897-1989 წწ. პერიოდში 60 წელზე უზნესი კონტინგენტის ზედდრითი წილი მთელ მოსახლეობაში 7,1დან 14,4%-მდე გაიზარდა). საქართველოსა და რიგ სხვა ქვეყნებში დამკვიდრებული მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის შესაშვ ეტაპზე მოსახლეობის ბუნებრივი მატების თანდათანობითი შენელების ტენდენციაც იმდენად კანონზომიერ და მუდმივ განმეორებად ხასიათს ღებულობს, რომ ესეც დემოგრაფიული განვითარების კანონის სახით წარმოგვიდგება. მას საფუძვლად უდევს შობადობის შემცირებისა და მოკვდაობის გადიდების ტენდენციები. მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების, ბუნებრივი მატების ტემპების დაცემისა და სხვა ანალოგიური კანონები უნდა მივაკუთვნოთ მოსახლეობის აღწარმოების სპეციფიკურ კანონებს, რამდენადაც ისინი მოქმედებენ საზოგადოების განვითარების არა ყველა, არამედ ცალკეულ საფეხურებზე.

მოსახლეობის¹ აღწარმოების კანონების მოქმედებას გარკვეული თავისებურებანი ახასიათებს სხვადასხვა ქვეყანასა და განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. მათზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ისეთი მოვლენებიც, როგორცაა ომები (განსაკუთრებით მსოფლიო ომები), ეპიდემიები, დემოგრაფიული აფეთქებები და სხვა.

ზოგად-თეორიულ დისციპლინებში შედის დემოგრაფიული მეცნიერების ისტორია, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში მეტწილად დემოგრაფიის ისტორიის სახელწოდებით გვხვდება. იგი სწავლობს დემოგრაფიული მეცნიერების განვითარების ისტორიულ პროცესს როგორც მთლიანად - აღმოცენებიდან დღემდე, ისე ცალკეული პერიოდებისა და მოსახლეობის აღწარმოების შესახებ შეხედულებათა ევოლუციის მიხედვით. დემოგრაფიის ისტორია ორგანულადაა დაკავშირებული დემოგრაფიის ზოგად თეორიასთან და გარკვეული გაგებით მის ნაწილს წარმოადგენს.

რამდენადაც დემოგრაფიული მეცნიერების საფუძველს შეადგენს მნიშვნელოვანწილად მასობრივი ციფრობრივი მონაცემები, დემოგრაფიული მეცნიერების ისტორიაში დიდი ადგილი ეთმობა ამ მონაცემების და საერთოდ მოსახლეობის

1

დემოგრაფიულ (და არა მარტო დემოგრაფიულ) ლიტერატურაში, განსაკუთრებით მოსახლეობის კანონებზე მსჯელობისას, იყენებენ ტერმინს „ხალხთმოსახლეობა“. მის სინონიმურ ტერმინს „მოსახლეობა“ ისეთი საყოველთაო მოქალაქეობრივი უფლება აქვს დამკვიდრებული წერილობით თუ მეტყველებით პრაქტიკაში, რომ თითოეული ჩვენთაგანი მასში იმთავითვე ხალხის, ადამიანთა ჯგუფების (და არა ცხოველთა ან ფრინველთა) დასახლებას გულისხმობს, ამიტომ სრულიად ზედმეტად მიგვიჩნია მისი ხმარება წინსართთან ერთად. მითუმეტეს, ენობრივი თვალსაზრისით იგი ქართულად ძალიან უხეშად ჟღერს.

აღწარმოების პროცესების კონკრეტული ანალიზისათვის საჭირო მდიდარი ფაქტობრივი მასალის დამუშავების მეთოდების განვითარების შესწავლის მიზნით ითხების ახსნისას დემოგრაფიის ისტორიას ახლო შეხების წერტილები აქვს სტატისტიკის ისტორიასთან, სოციოლოგიის ფორმირებასთან, აგრეთვე რიგი სხვა მეცნიერების მეთოდებთან.

დემოგრაფიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დემოგრაფიული ცოდნის დაგროვების პროცესში მიღებული თეორიული დასკვნებისა და განზოგადებათა, ამა თუ იმ დემოგრაფიული პრობლემის გარშემო წამოყენებულ განსხვავებულ კონცეფციათა ურთიერთ შეჭერება და კრიტიკული ანალიზი, რომელიც აადვილებს ჭეშმარიტების დადგენას. მის კომპეტენციაში შედის აგრეთვე დემოგრაფიული გამოკვლევებისა და დემოგრაფიული პროგნოზების დამუშავების პრაქტიკის ურთიერთკავშირის, აგრეთვე სხვა ისტორიულ ეტაპზე დემოგრაფიული პოლიტიკის ფორმირებაში მოსახლეობის აღწარმოების შესახებ ცოდნის მნიშვნელობის შესწავლა. დემოგრაფიის ისტორია მოიცავს ისეთ საკითხებსაც, როგორცაა მეცნიერულ-ორგანიზაციული პრობლემები (დემოგრაფიის დარგში სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელის გაშლა, ნაშრომების პუბლიკაცია, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მოწოდება), კადრების მომზადება (ასპირანტურისა და დოქტორანტურის გზით), დემოგრაფიის კავშირი მონათესავე მეცნიერულ დისციპლინებთან. განიხილავს რა დემოგრაფიის წარმოშობასა და ფორმირებას როგორც მთლიანად მთელი მეცნიერების ისტორიის და განსაკუთრებით მოსახლეობის შესწავლის ისტორიის განუყოფელ ნაწილს, დემოგრაფიის ისტორია მოწოდებულია გაითვალისწინოს მეცნიერებათა მთელი კომპლექსის განვითარების გზები.

დემოგრაფიის ისტორია, როგორც წესი, დემოგრაფიულ წყაროებს იყენებს მხოლოდ მეორადი მასალის სახით, რამდენადაც აანალიზებს თეორიული და კონკრეტული დემოგრაფიული ნაშრომების პუბლიკაციების მონაცემებს, სამეცნიერო დაწესებულებების, კონფერენციების, თათბირებისა და სიმპოზიუმების მასალებს, დემოგრაფიული მეცნიერების ამსახველ სხვა დოკუმენტებს, მათ შორის ზოგიერთ წყაროს სოციალურ-გეოგრაფიული ისტორიიდან, რომლებიც აუცილებელია ამ პროცესის უფრო სრულყოფილი გააზრებისათვის [2, გვ.160].

დემოგრაფიული მეცნიერების ელემენტების შემცველ კვლევა-ძიებას მეტ-ნაკლები ზომით მანამდეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ დემოგრაფიული მეცნიერების ისტორია დასაბამს ღებულობს დიდ ბრიტანეთში 1662 წელს დ. გრაუნტის ნაშრომის - „ლონდონში მოკვდაობის შესახებ ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებანი“ - გამოქვეყნებიდან. მასში პირველადაა მოცემული დემოგრაფიული მონაცემების ანალიზი, გამოვლინებულია ცალკეული კანონზომიერებანი, სახელდობრ თანაფარდობანი: დაბადებულ ვაჟებსა და ქალიშვილებს, შობადობისა და მოკვდაობის ასაკობრივ დონეთა, აგრეთვე ქალაქებსა და სოფლებში მოკვდაობის დონეთა შორის. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო მოკვდაობის რეჟიმის ასაკობრივ თავისებურებათა პირველი საფუძვლიანი ანალიზი.

1855 წელს ა. გიიარის წიგნის სათაურში - „ადამიანის სტატისტიკის ელემენტები, ანუ შედარებითი დემოგრაფია“ - პირველად იქნა ნახმარი ტერმინი „დემოგრაფია“, მაგრამ მეცნიერულ ბრუნვაში მის შესვლას კიდევ საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. 1877 წელს პ. ლარუსის მიერ, ფართოდ ცნობილ ენციკლოპედიაში, პირველად იქნა გამოქვეყნებული სტატია სათაურით „დემოგრაფია“, რომელიც მოწმობდა ახალი მეცნიერების დამკვიდრებისა და მასთან დაკავშირებული ტერმინის გავრცელების დასაწყისს. მიუხედავად ყოველივე ამისა, ამ ტერმინის ოფიციალური აღიარება დაიწყო მას შემდეგ, რაც იგი 1882-1883 წწ. შეტანილ იქნა ჰიგიენისა და დემოგრაფიის საერთაშორისო კონგრესების სახელწოდებაში, ხოლო ევროპისა და სხვა ქვეყნების სამეცნიერო ლიტერატურაში საბოლოოდ დამკვიდრდა მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში.

საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების პრობლემებს თვალსაჩინო ნაშრომები მიუძღვნეს და ამით დემოგრაფიული მეცნიერების განვითარებას ხელსაყრელი

ბაზა შეუქმნეს ცნობილმა მკვლევარებმა ივ. ჯავახიშვილმა, ფ. გოგიჩაიშვილმა, გუგუშვილმა, გ. გამყრელიძემ. ამ მიმართულებით დღეისათვის ფრიად ნაყოფიერად მუშაობენ: ვ. ჯაოშვილი, კ. ანთაძე, მ. ბექაია, გ. წულაძე, ა. კაცაძე და სხვები. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ დემოგრაფიული მეცნიერება ჩვენთან სათანადო დონეზე იყოს განვითარებული. ამ ხარვეზის გარკვეულწილად შევსება შეუძლია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში 1990 წელს შექმნილ დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის კოლექტივს, რომელიც ინტენსიურად იკვლევს დემოგრაფიის აქტუალურ პრობლემებს.

ისტორიული დემოგრაფია, როგორც ზოგად-თეორიული დემოგრაფიული მეცნიერება, სწავლობს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებს ადამიანთა ცივილიზაციის სხვადასხვა ეტაპზე. იგი იკვლევს მთელი მსოფლიოს, კონტინენტების, ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნების მოსახლეობის მორაობას ისტორიულ ასპექტში, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განპირობებულობაში. რამდენადაც დემოგრაფიული ისტორია მთელი საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესის ნაწილია, ისტორიული დემოგრაფია იმავდროულად ისტორიულ მეცნიერებათა სისტემაშიც შედის, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც შესწავლის ობიექტს - დემოგრაფიას ეკუთვნის, რაც წყვეტს კიდევ ამ მეცნიერული დისციპლინის, უწინარეს ყოვლისა, დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემისადმი მიკუთვნების საკითხს.

ისტორიული დემოგრაფიის ძირითადი ამოცანაა მოსახლეობის აღწარმოების, როგორც საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობის, ისტორიულ კანონზომიერებათა ახსნა. მასში გამოყოფენ კონკრეტული კვლევის სამ ურთიერთ დაკავშირებულ მიმართულებას: პირველი - მოსახლეობის რიცხოვნობის ისტორიის დინამიკის, აგრეთვე განსახლების, სიმჭიდროვისა და მიგრაციის შესწავლა იმდენად, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენენ მოსახლეობის აღწარმოების პროცესებზე; მეორე - ამ პროცესების ისტორიული ევოლუციის ყოველმხრივი ანალიზი მათ სოციალურ განპირობებულობაში, მოსახლეობის აღწარმოების ისტორიული ტიპების ცვლილებათა კვლევა, რომელსაც აქვს უშუალო მნიშვნელობა არამარტო თანამედროვე დემოგრაფიული პროცესების ანალიზისათვის, არამედ აგრეთვე მათი პროგნოზირებისა და დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისათვის; მესამე მიმართულება დაკავშირებულია დემოგრაფიული განვითარების ისტორიული განპირობებულობისა და ისტორიაში დემოგრაფიული ფაქტორების როლის დიალექტიკური ერთიანობის ახსნის ამოცანის გადაჭრასთან.

საინფორმაციო წყაროების მდგომარეობის შესაბამისად, ისტორიულ დემოგრაფიას არც თუ იშვიათად ყოფენ სამ პერიოდად: „დამწერლობამდელი“, „სტატისტიკამდელი“ და „სტატისტიკური“. მათ შორის პირველის გამოკვლევა წარმოებს პალეოგრაფიის მიერ პალეოანთროპოლოგიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის მონაცემების გამოყენებით. „სტატისტიკამდელი“ პერიოდის შესახებაც წყაროები ძალიან დარბია, რაც აპირობებს მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების შესწავლას მხოლოდ მრავალმხრივი არაპირდაპირი წყაროების მეშვეობით. ევროპის ქვეყნებისათვის ეს პერიოდი თარიღდება მე-18 საუკუნის დასასრულითა და მე-19 საუკუნის დასაწყისით, ე. ი. მოსახლეობის აღწერების დაწყებით. მესამე პერიოდი კი უკავშირდება მოსახლეობის შესახებ უფრო სარწმუნო სტატისტიკური ინფორმაციის (აღწერები, მიმდინარე აღრიცხვა) მიღებას.

ისტორიული დემოგრაფიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, ფორმირება დაიწყო მოსახლეობის ისტორიის შესწავლის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე, დაახლოებით მე-19 საუკუნის უკანასკნელ მესამედში, როცა დემოგრაფიული მეცნიერების აღმოცენებასთან დაკავშირებით თანდათანობით განისაზღვრა დემოგრაფიული ისტორიის კვლევის სფერო. სწორედ მაშინ (მე-19 საუკუნის 90-იან წლებში) პირველად იქნა ხმარებული ტერმინი „ისტორიული დემოგრაფია“, თუმცა ფართო გავრცელება მან მხოლოდ მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან პოვა.

მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე ისტორიული დემოგრაფიის კვლევა წარმოადგენდა ძირითადად მისი ზემოაღნიშნული მიმართულებებიდან პირველის (ფიქტიური) მნიშვნელობის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მრავალი მეცნიერის ძალისხმევით ძირითადად დადგენილ იქნა ისტორიული განვითარების მსვლელობაში მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის პროცესი. დაიწყო დემოგრაფიული პროცესების ისტორიული ევოლუციის, დემოგრაფიული პოლიტიკური ისტორიისა და ზოგიერთი სხვა პრობლემის შესწავლა. ამ პირველადი მონაცემების დაგროვების საფუძველზე ა. ლანდრიმ (1909 და 1934 წლებში) წამოაყენა ჰიპოთეზა „დემოგრაფიული რევოლუციის“ თაობაზე, რომლის თანახმადაც დემოგრაფიული ისტორია წარმოადგენს მრსახლეობის აღწარმოების ერთიმეორის შემცვლელი ტიპების ერთიანობას [2, გვ.159].

ისტორიული დემოგრაფიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, წინაშე ამჟამად მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნების მოსახლეობის თანამედროვე განვითარების ისტორიული ტენდენციების ანალიზის მეტად რთული ამოცანები დგას. ეს დღის წესრიგში აყენებს ისტორიულ-დემოგრაფიული ანალიზის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის სრულყოფის აუცილებლობას. ამ მიმართულებით ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია საქართველოში პირველად 1991 წელს დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში შექმნილ ისტორიული დემოგრაფიის სპეციალურ განყოფილებას.

დემოგრაფიული სტატისტიკა, როგორც მეცნიერული დისციპლინა, სწავლობს დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების უპირატესად რაოდენობრივ განზომილებებს სტატისტიკისა და დინამიკაში, გვთავაზობს მეცნიერულად დასაბუთებულ მრავალფეროვან სტატისტიკურ ფორმებს, ხერხებსა და მეთოდებს, რომელთა გამოყენება აადვილებს მოსახლეობის მოძრაობის თაობაზე მდიდარი ფაქტობრივი მასალის მოპოვებას, დაგვუფებას, გადმოცემას, გაანალიზებასა და განზოგადებას, აგრეთვე მათ ფაქტორულ ახსნას.

ვერ გავიზიარებთ პროფ. კილინშვიცის მოსაზრებას იმის შესახებ რომ მოსახლეობის სტატისტიკა დემოგრაფიის შემადგენელი ნაწილია [3, გვ.5]. ჩვენი აზრით, დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში შედის არა მოსახლეობის სტატისტიკა, არამედ დემოგრაფიული სტატისტიკა, რომელიც სწავლობს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებს სპეციფიკური კუთხით, მოსახლეობის სტატისტიკა კი, მოსახლეობის როგორც რთული ფენომენის განვითარების საკითხთა გაცილებით ფართო სპექტრის მოიცავს.

დემოგრაფიული სტატისტიკის თეორიული საფუძველია დემოგრაფიის ზოგადი თეორია, მეთოდოლოგიურ ნაწილში კი იგი ემყარება აგრეთვე სტატისტიკის ზოგადი თეორიის პრინციპებს. დემოგრაფიული სტატისტიკა მხედველობაში არღებულობს ადამიანთა მრავალფეროვან ინდივიდუალურ თვისებებს და განიხილავს მათ საერთო მახასიათებელთა მხოლოდ შეზღუდულ რიცხვს (ასაკს, სქესს, ოჯახურ მდგომარეობას და სხვა), რომლებიც მნიშვნელოვანია მოსახლეობის აღწარმოებისათვის, ე. ი. მოსახლეობას ან მის ჯგუფს განიხილავს როგორც შედარებით ერთგვაროვან ერთობლიობას, ხოლო დემოგრაფიულ მოვლენებს როგორც შემთხვევით მოვლენებს. ეს შესაძლებელს ხდის მოსახლეობის აღწარმოების შესწავლისათვის გამოყენებულ იქნას საერთოდ ცნობილ სტატისტიკურ მეთოდთა უმრავლესობა.

დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემები ფართოდ გამოიყენება დემოგრაფიის მიერ მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებების შესწავლის დროს. თანამედროვე პირობებში ეს მონაცემები სულ უფრო სრულყოფილი ხდება. მათი ანალიზისას მათემატიკური და სოციოლოგიური მეთოდების, აგრეთვე ელექტრო-გამომთვლელი მანქანების გამოყენების შედეგად.

მათემატიკური დემოგრაფია, როგორც მათემატიკისა და დემოგრაფიის მიჯნაზე აღმოცენებული მეცნიერული დისციპლინა, დემოგრაფიული მოვლენების გამოყენების საფუძველზე მათემატიკური მეთოდებით სწავლობს მოსახლეობის

აღწარმოების კანონზომიერებებს. სხვანაირად მას ფორმალურ ანუ წმინდა დემოგრაფიასაც უწოდებენ, რამდენადაც იგი ახდენს დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების ფორმალიზებას, ე. ი. მოსახლეობის მთელი რიგი ხარისხობრივი მახასიათებლების, ნიშნებისა და თვისებებისაგან აბსტრაგირებას. თუმცა მათემატიკური მეთოდების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ ფარგლებამდე, რომელთა იქითაც იგი იწვევს შესასწავლი მოვლენებისა და პროცესების შინაარსის გაყალბებას.

თავის ისტორიულ წარმოშობა-განვითარებაში მათემატიკური დემოგრაფია მნიშვნელოვნად უსწრებდა აღნიშნულ კონკრეტულ და სპეციალურ დემოგრაფიულ დისციპლინებს. მის აღმოცენებას უკავშირებენ დ. გრაუნტის (1662 წ.) ნაშრომებს, რომლებშიც მოკუმულია თანამედროვე გაგებით მოკვდაობის ცხრილის აგების პირველი ცდა. იმ დროიდან მოყოლებული განუწყვეტლოვ მიმდინარეობს მოკვდაობის მოდელირების ცხრილისებური მეთოდების სრულყოფა. ი. მიურემ 1764 წელს აავო ქორწინების პირველი ცხრილი. ა. ლოტკიმ თავისი 1907-1948 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სერიით დაუდო სათავე მოსახლეობის აღწარმოებისა და სტრუქტურის ურთიერთ კავშირის მათემატიკური მეთოდების მეშვეობით შესწავლას, რომელმაც ბევრ საინტერესო კითხვაზე პირველად გასცა ამოწურავი და დამაჯერებელი პასუხი.

მათემატიკური დემოგრაფიის მეთოდების გამოყენებას საფუძვლად უძევს მათემატიკური დემოგრაფიული მოდელის სისტემა. მათემატიკური მეთოდების საფუძველზე აგებული დემოგრაფიული მოდელის დანიშნულებაა გამოხატოს მოსახლეობის აღწარმოების მთელი პროცესის ან მისი ცალკეული ელემენტების რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები დინამიკაში. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი აადვილებს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა სწრაფად, ნათლად და კომპლექსურად აღქმას. დემოგრაფიული მოდელის აგებისა და გამოყენებისას აუცილებელი ხდება აბსტრაგირება მოდელირების ობიექტისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი არაარსებითი ნიშნისა და თვისებისაგან, ან ისეთებისაგან, რომელთაც მოკუმულ მოდელში გადასაწყვეტი ამოცანების თვალსაზრისით არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა. ამრიგად, დემოგრაფიულ მოდელს საფუძვლად უძევს მოდელირების ობიექტის - დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების ფორმალიზება, რომელიც აადვილებს სათანადო დასკვნების გაკეთებას და განზოგადებას.

განასხვავებენ დემოგრაფიულ მაკრომოდელებს და მიკრომოდელებს. პირველი დემოგრაფიულ პროცესებს ასახავს მთელი მოსახლეობის, ან მისი ცალკეული ნაწილის, ხოლო მეორე - ინდივიდის, ან ოჯახის დონეზე. მიკრომოდელები გამოიყენება ძირითადად დემოგრაფიული მოვლენების ფაქტორთა ანალიზის დროს.

დემოგრაფიული პროცესების შესწავლისას მათემატიკური დემოგრაფიის მეთოდები მეტნაკლებად დემოგრაფიული პროფილის ყველა დისციპლინაში გამოიყენება, მაგრამ უპირატესად მას იყენებენ: მოსახლეობის სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე დემოგრაფიული პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლების - დემოგრაფიული ცხრილებისა და ცალკეული დემოგრაფიული მაჩვენებლების მისაღებად, რომელთა დიდი ნაწილი (მაგალითად, აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტები, მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და სხვ.) შეიძლება შინაარსობრივად გააზრებული და სწორად შეფასებულ იქნას მხოლოდ შესაბამისი დემოგრაფიული მოდელის ჩარჩოებში; დემოგრაფიული პროცესების კანონზომიერებათა შესწავლის მიმდინარეობისას მათ ცალკეულ კომპონენტებს შორის კავშირის არსებობის გამოსავლენად, გასაზომად და დასამტკიცებლად; დემოგრაფიული პროგნოზის, რეტროსპექტული შეფასებებისა და მოსახლეობასთან დაკავშირებული სხვა გაანგარიშებების დროს; მოსახლეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების ამოცანების განსაზღვრისა და დაზუსტების დროს და ა. შ. [2, გვ.242].



მათემატიკური დემოგრაფიის განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება მისი მეთოდების შედარებით უფრო სრულყოფილობით. მხედველობაში გვაჭვს კომპიუტერების გამოყენების საფუძველზე მათემატიკური მეთოდების დახვეწა და გამრავლდეროვნება, აგრეთვე არასრული და ნაკლებად სარწმუნო ინფორმაციის პირობებში დემოგრაფიულ გაანგარიშებათა მეთოდების შემუშავება მოდელური ცხრილების გამოყენების გზით.

თანამედროვე მათემატიკური დემოგრაფია იყენებს მათემატიკური ანალიზის, ალბათობის თეორიის, მათემატიკური სტატისტიკის და სხვა მათემატიკურ მეცნიერებათა მეთოდებს. დემოგრაფიულ გაანგარიშებათა პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გამოთვლითი მათემატიკის მეთოდებს: ინტერპოლაციას და ექსტრაპოლაციას, რიცხვით ინტეგრირებას და სხვა.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში მათემატიკური დემოგრაფიის დარგში ნაყოფიერ შეცნიერულ მუშაობას ეწევა პროფ. ე. ხმალაძე, რომელიც ზრუნავს ამ სპეციალობით ახალგაზრდა კადრების მომზადებაზეც. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში 1992 წელს პირველად იქნა მიღებული ასპირანტი მათემატიკური დემოგრაფიის სპეციალობით. ყოველივე ეს იმედის მომცემი პირველი ნაბიჯებია. მომავალში ამ საკითხს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

დემოგრაფიული პროგნოზირება ნიშნავს მოსახლეობის აღწარმოების ძირითადი პარამეტრების (მოსახლეობის რიცხოვნობა, შობადობა, მოკვდაობა, ასაკობრივ-სქესობრივი და ოჯახური სტრუქტურა, მიგრაცია და სხვა ხარისხობრივი მაჩასათებლები) მეცნიერულად დასაბუთებულ განჭვრეტას პერსპექტივაში. დემოგრაფიული განვითარების ტენდენციებისა და პაროგნოზო პერიოდისათვის მისი ცალკეული მაჩასათებლების მიხედვით მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით ჩვეულებრივ რამდენიმე ვარიანტად გაითვლება პროგნოზული მაჩვენებლები. სათანადო განხილვის საფუძველზე დგინდება რეალურთან უფრო მიახლოებული ვარიანტი, რომელსაც მიიჩნევენ დემოგრაფიულ პროგნოზად. მისი სრულყოფილობა დიდადაა დამოკიდებული როგორც მოსახლეობის აღწერის, დემოგრაფიული მოვლენების მიმდინარე აღრიცხვისა და მოსახლეობის შერჩევითი შესწავლის საფუძველზე მიღებული მონაცემების სიზუსტეზე, ისე სოციალურ-ეკონომიკური პირობების მთელი კომპლექსის გავლენით დემოგრაფიული პროცესების ცვლილებათა შესახებ ჰიპოთეზის მეცნიერულ დასაბუთებულობაზე.

დემოგრაფიული პროგნოზირების, როგორც მეცნიერული დისციპლინის, უპირველესი ამოცანაა კვლევის ისეთი მეცნიერულად დასაბუთებული ხერხებისა და მეთოდების შემუშავება, რომელთა გამოყენებას შეუძლია უზრუნველყოს მოსალოდნელ რეალურ დემოგრაფიულ მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ პროგნოზულ მაჩვენებელთა გამოთვლა.

მრავალ სხვა საგულისხმო გარემოებასთან ერთად, მისი პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ამ გზით მიახლოებით მაინც შეგვიძლია განვსაზღვროთ შრომითი რესურსების ოდენობა, მათი ასაკობრივ-სქესობრივი და პროფესიულ-კვალიფიკაციური სტრუქტურა, განათლების დონე, არასრულწლოვანთა (პოტენციურ შრომის უნარიანთა) და პენსიონერთა (საზოგადოების კმაყოფაზე მყოფთა), აგრეთვე ფერტილური ასაკის ქალთა რიცხვი, ოჯახების რაოდენობა და ბევრი სხვა ანალოგიური მაჩვენებელი, რაც ფრიად საგულისხმო დასკვნების გაეთების საშუალებას იძლევა. ამის საფუძველზე პერსპექტივაში შეიძლება გამოთვალათ წარმოების თითოეული დარგის განვითარების შესაძლებლობანი (პიროვნული ფაქტორის ნაწილში), საჭიროება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებზე (საბავშვო ბაღები და ბაგები), ზოგადსაგანმანათლებლო საკლუბზე, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებზე, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების ობიექტებზე სოციალური ჯგუფების მიხედვით და რეგიონულ კრილიში, მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებსა და არასასურსათო ნაწარმში. ხანგრძლივი მოხმარების კალორიულობა და სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლები.

დანშნულების საქონელზე, საცხოვრებელ ბინებზე, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებებზე, საკურორტო მომსახურების ობიექტებზე და სხვა. ყოველივე ამის წინასწარი გამოთვლის გარეშე ქვეყანაში ვერ დამყარდება აუცილებელი სახალხომეურნეობრივი პრობორციები, მეტიც, საზოგადოებაში დამკვიდრდება ანარქია და ქაოსი, შეუძლებელი გახდება მოსახლეობის ცხოვრების დონის უმნიშვნელო ამაღლებაც კი.

უტყუარი დემოგრაფიული პროგნოზირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კვლევის მათემატიკური მეთოდების გონივრულ გამოყენებას. ამის გაკეთება არ ძალუძთ მათემატიკის არმცოდნე დემოგრაფებს, ისე როგორც დემოგრაფიის არმცოდნე მათემატიკოსებს. ამაზე ხელეწიფებათ მეცნიერების ამ ორივე დარგს ღრმად დაუფლებულ პირებს, განსაკუთრებით - მათემატიკური დემოგრაფიის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს.

რეგიონული დემოგრაფია სწავლობს ქვეყნის ცალკეულ რეგიონებსა და ტერიტორიებზე მოსახლეობის ფორმირების კანონზომიერებებს მათი თავისებურებების გათვალისწინებით. ამ მიზნით იგი განსაზღვრავს რეგიონულ ჭრილში შესარჩევ ფაქტორივ მონაცემებს, მათი მოპოვების, დამუშავებისა და განზოგადების სპეციალურ ხერხებსა და მეთოდებს, აგრეთვე მაჩვენებლებს, რომლებშიც ასახვა უნდა პოვონ დემოგრაფიული განვითარების მოვლენებმა და პროცესებმა. რეგიონული დემოგრაფია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პირობების ტიპოლოგიის დამუშავებას. რეგიონული ეკონომიკის სისტემაში მოსახლეობის ფუნქციონირების შესწავლა გარკვეულ პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს სინთეზურ ცნებას - „რეგიონული სოციალურ-დემოგრაფიული სიტუაცია“. კონკრეტული სოციალურ-დემოგრაფიული სიტუაცია (რომელიც ერთმანეთისაგან საკმაოდ მკვეთრად განსხვავებულია, მაგალითად, რაჭის და ქვემო ქართლის რაიონებში) აპირობებს თითოეული რეგიონისთვის შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკის მექანიზმის შერჩევას და გამოყენებას.

რეგიონული დემოგრაფიის შესწავლის უშუალო ობიექტია რეგიონში მიმდინარე მრავალფეროვანი დემოგრაფიული მოვლენები და პროცესები, რომელთაც აქვთ მასობრივი ხასიათი და შეიძლება ასახულ იქნან დემოგრაფიულ მაჩვენებელთა მეშვეობით. მხედველობაში გვაქვს ისეთი პროცესები, როგორიცაა შობადობა და მოკვდაობა, ქორწინება და განქორწინება, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, მუდმივი მოსახლეობის ფორმირება, დემოგრაფიული დაბერება, ფერტილური ასაკის ქალთა დასაქმება და რიგი სხვა მაჩვენებლებისა, მათი გამომწვევი მიზეზებითა და მოსალოდნელი შედეგებით.

რეგიონულ დემოგრაფიულ გამოკვლევებში იყენებენ როგორც ტრადიციულ, ისე სპეციალურ დემოგრაფიულ მაჩვენებლებს. სპეციალურს განეკუთვნება, მაგალითად, მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მიგრაციას, როგორც მოცემული რეგიონის მოსახლეობის მატების ან შემცირების წყაროს, აგრეთვე შეფასებითი ეკონომიკურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები, რომლებიც შესაძლებელს ხდის, მაგალითად, მოსახლეობის მაქსიმალურად შესაძლებელი და ოპტიმალური რიცხოვნობისა და სიმჭიდროვის განსაზღვრას. მათი გაანგარიშებისას გამოდიან რეგიონის ეკონომიკის „დემოგრაფიული ტევადობიდან“, რომელიც განპირობებულია მწარმოებლურ ძალთა განვითარების დონით, ბუნებრივი რესურსების მდგომარეობით და სხვა ფაქტორებით. აგრარული რეგიონისათვის მხედველობაში მიიღება ათვისებისათვის გამოსადეგი მიწის ფართობი, ხოლო მრეწველური მიმართულების რეგიონისთვის - დასახლებული პუნქტების ფუნქციონალური ტიპები, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების მეურნეობრივი ათვისების მასშტაბები და ფორმები.

რეგიონის მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა გამოვლენა ითვალისწინებს დემოგრაფიული განვითარების თეორიულ ახსნას და მასზე მოქმედი ფაქტორების შესაბამის ანალიზს. ამ ფაქტორებისა და მათი ურთიერთკავშირების განსაზღვრისათვის გამოიყენება „ძიებითი ლოგიკური სქემის“ მეთოდი, რომელიც გულისხმობს რეგიონების მიხედვით ადრე შემუშავებული გამოკვლევების მოცემუ-

ლი რაიონის ანალოგიურ ეკონომიკურ-დემოგრაფიულ სიტუაციაში ახალი გამოკვლევის პირველი ეტაპის სახით გამოყენებას [2, გვ. 364-365].

რეგიონული დემოგრაფია მთელ რიგ პრობლემებს იკვლევს ისეთ მომხიზნვე მეცნიერებებთან კონტაქტში, როგორცაა მოსახლეობის გეოგრაფია, მოსახლეობის სტატისტიკა, შრომის ეკონომიკა და სხვ. რაც შეეხება კონკრეტულ დემოგრაფიულ დისციპლინებს, ისინი თავიანთი პროფილის შესაბამისად მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებს სწავლობენ დემოგრაფიულ ჭრილში.

უკანასკნელ პერიოდში რეგიონული დემოგრაფიული პრობლემები სულ უფრო მეტად ექცევა მეცნიერ-დემოგრაფთა კვლევის არეალში, რაც აისახება რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით დემოგრაფიული პოლიტიკის რეალიზაციის მოთხოვნებით.

დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში თვალსაჩინო ადგილი უკავია დემოგრაფიისა და ეკონომიკის მიჯნაზე აღმოცენებულ მეცნიერულ დისციპლინას - ეკონომიკურ დემოგრაფიას, რომელიც სწავლობს ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის აღწარმოების ურთიერთკავშირს მათს სოციალურ-ეკონომიკურ განპირობებულობაში.

რაში გამოიხატება მოსახლეობის აღწარმოების გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე? როგორც ცნობილია, მოკვდაობის და განსაკუთრებით შობადობის პროცესთა ინტენსივობის ცვლილებებს (რიგ შემთხვევაში მიგრაციულ ცვლილებებსაც) სათანადო კორექტივი შეაქვს შრომისუნარიანი და არაშრომისუნარიანი ასაკის პირთა რიცხოვნობის თანდაზღობაში, რაც უშუალოდ რეაგირებს ეკონომიკის განვითარებაზე. ცხადია, ვრთ შრომისუნარიანზე რაც უფრო მეტი არაშრომისუნარიანი მოდის, მით უფრო მეტი მოთხოვნები წაყვევება დასაქმებულთა შრომის ეფექტურობას. მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის არაშრომისუნარიანი ნაწილის ასაკობრივ სტრუქტურასაც. თუ მის რიცხოვნობაში იზრდება ახალგაზრდობა, ანუ პოტენციურ შრომისუნარიანთა ხვედრითი წილი, მომავალში შეიძლება ველოდეთ თითოეული შრომისუნარიანის დატვირთვის რამდენამდე შემცირებას. იმ შემთხვევაში კი, თუ იზრდება უფროსი ასაკის პირთა ხვედრითი წილი, ბუნებრივია, ეს გამოიწვევს თითოეული შრომისუნარიანის დატვირთვის გაზრდას. სხვანაირად საზოგადოება ვერ უზრუნველყოფს კმაყოფაზე მყოფთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესებზე გავლენას ახდენს მოსახლეობის არა მარტო ასაკობრივი, არამედ სქესობრივი სტრუქტურაც. სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, შეინიშნება მამაკაცებისა და ქალების გარკვეული მიდრეკილება ამა თუ იმ პროფესიისადმი. მაგალითად, მოპოვებითი მრეწველობის დარგებში, მეტალურგიაში და მძიმე მრეწველობის ზოგიერთ სხვა დარგში უმთავრესად მამაკაცები მუშაობენ, ხოლო მსუბუქ მრეწველობაში, ვაჭრობაში, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და ა. შ. - ძირითადად ქალები. მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის შეცვლას (განსაკუთრებით ცალკეულ რეგიონებში) შეუძლია დიდი სიძნელეები შექმნას წარმოების ამა თუ იმ დარგის განვითარების თვალსაზრისით. ეკონომიკის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში ქალთა (განსაკუთრებით ფერტილური ასაკის ქალთა) ხვედრითი წილი, მათი განათლების და დასაქმების დონე, პროფესიულ-კვალიფიკაციური შემადგენლობა, ჭორწინებაში ყოფნის მდგომარეობა, თითოეულის შეილთა რიცხოვნობა და ა. შ.

ეკონომიკა, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის აღწარმოებაზე. დემოგრაფიული ფაქტების ახსნა, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ცხოვრების კანონებში უნდა ვეძიოთ. მართალია, ბავშვის დაბადება თავისთავად ბიოლოგიური მოვლენაა, მაგრამ მისი აღზრდა-ჩამოყალიბება, პროფესიის დაუფლება, შრომითი საქმიანობა ხომ ძირითადად სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მიმდინარეობს. მოსახლეობის აღწარმოებაზე მეტნაკლები ზომით გავლენას ახდენს: სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებით, სკოლა-ინტერნატ-



ბით, გახანგრძლივებული დღის სკოლებით, საცხოვრებელი ბინებით, პირველი მოხმარების საგნებით, სამუშაო ადგილებით, სამედიცინო დაწესებულებებით, ნატორიუმებით და მრავალი სხვა მატერიალური და სულიერი სიკეთით უზრუნველყოფა. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები გარკვეულ როლს ასრულებენ ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ჩამოყალიბებაში (თუმცა არა ყველგან ერთნაირი ზომით). განსაკუთრებით კი - მის რეალიზაციაში. მხედველობაში გვაქვს მოსახლეობის აღწარმოების როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი (ხარისხობრივი) მხარე. თაობათა განახლებისას რიცხოვნობაზე არანაკლები მნიშვნელობისაა ის, თუ რაოდენ ჯანსაღი და ინტელექტუალურად მაღალგანვითარებული ახალგაზრდობა აღიზრდება. ცხადია, ამის უზრუნველყოფაში პრიმატი სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ენიჭება.

ამრიგად, მოსახლეობის აღწარმოებას აქვს ბიოლოგიური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, ისტორიული, გეოგრაფიული, სამართლებრივი, სოციოლოგიური, ეთნიკური და კიდევ მრავალი სხვა ასპექტი, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც სოციალურ-ეკონომიკური ასპექტებია. ამის დასტურია ის, რომ ადამიანთა საზოგადოების არსებობისა და განვითარების საფუძველს მატერიალური დოვლათის წარმოება შეადგენს. მოსახლეობაა მატერიალური დოვლათის მწარმოებელიც და მომხმარებელიც. მოსახლეობის აღწარმოება და ეკონომიკა დიალექტიკურ ურთიერკავშირში იმყოფებიან და ერთიმეორეს აპირობებენ.

ეკონომიკურ-დემოგრაფიული გაანგარიშებისთვის მთავარია არა მარტო იმის დადგენა, რომ არსებობს კავშირი ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მოვლენებს შორის, არამედ მათი ურთიერთგავლენის რაოდენობრივ პარამეტრებში გამოხატვაც. რაც ეკონომიკური დემოგრაფიის წინაშე დასმული ფრიად რთული, მაგრამ ამასთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანაა.

სოციოლოგიური დემოგრაფია, როგორც სოციოლოგიისა და დემოგრაფიის შესაყარზე აღმოცენებული მეცნიერება, სწავლობს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა სოციოლოგიურ ასპექტებს, დემოგრაფიის და სოციალური პროცესების ურთიერთზემოქმედებას. საკუთრივ დემოგრაფიისაგან სოციოლოგიური დემოგრაფია იმით განსხვავდება, რომ პირველი მოსახლეობის აღწარმოებას სწავლობს უპირატესად მაკროდონეზე, ე. ი. მთელი მოსახლეობის ან მისი მსხვილი ჯგუფების მიხედვით, მეორე კი - ძირითადად მიკროდონეზე, რამდენადაც განიხილავს ოჯახის სტრუქტურას, ნათესაურ ურთიერთობებს, პიროვნებას და ა. შ. მაშასადამე, სოციოლოგიურ დემოგრაფიაში მთავარი ყურადღება ექცევა სოციალური ნორმების, დემოგრაფიული განწყობის, დემოგრაფიული ქცევისა და მისი ფაქტორების განხილვას. ამითვე განისაზღვრება სოციოლოგიურ დემოგრაფიაში გამოყენებული მეთოდების თავისებურებანი. მხედველობაში გვაქვს, უწინარეს ყოვლისა, პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების და დამუშავების მეთოდი. პრაქტიკაში იყენებენ სოციოლოგიური (მ. შ. დემოგრაფიულ-სოციოლოგიური) ინფორმაციის შეგროვების სამ ძირითად სახეობას: გამოკითხვას, დოკუმენტების ანალიზსა და დაკვირვებას. გამოკითხვის წესით სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვება ხდება რესპოდენტებთან გასაუბრებით (მათგან ინტერვიუს აღებით) ან ამ უკანასკნელთა მიერ სპეციალური ანკეტების შევსების გზით.

დოკუმენტების ანალიზთან ერთად, გამოკითხვის წესით მიღებული მასალა წარმოადგენს ყოველგვარი დემოგრაფიული ინფორმაციის მიღების პირველად წყაროს. უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო ხშირად გამოიყენება გამოკითხვის სპეციალურად დამუშავებული ფორმები, რომელთა მიზანია ინფორმაციის მიღება დემოგრაფიული ქცევისა და განწყობის კომპონენტებზე სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების შესახებ. დემოგრაფიული განწყობის შესასწავლად სულ უფრო ხშირად მიმართავენ აგრეთვე გაზომვის შედარებით რთულ მეთოდებს, სკალებისა და ტესტების გამოყენებას.

არც თუ იშვიათად, გარკვეულ დამოუკიდებელ მნიშვნელობას ანიჭებენ შობადობის სოციოლოგიას, ქორწინებისა და ოჯახის სოციოლოგიას, მოკვდაობის სოციო-



ლოგის, მიგრაციის სოციოლოგიის და ა. შ., რომლებშიც ეს დემოგრაფიული პროცესები შეისწავლება თავიანთი თავისებურებების გათვალისწინებით. შავალთადა, შობადობის სოციოლოგია საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთშემოქმედების მიმართებაში სოციოლოგიის, დემოგრაფიისა და სოციალური ფსიქოლოგიის მიჯნაზე იკვლევს შობადობის ცვლილების სოციალურ-ეკონომიკურ განპირობებულობას. იგი სოციოლოგიური მეთოდების გამოყენებით სწავლობს ბავშვთა შობის ინტენსივობის ტენდენციას, ოჯახში საშუალო შვილიანობას, ბავშვთა მოკვდაობის დაბალი დონის პირობებში ბავშვთა საშუალო რიცხოვნობას. ამით შობადობის სოციოლოგია განსხვავდება ფორმალურ-დემოგრაფიული მიდგომისაგან, რომელიც შობადობის პრობლემებს მოსახლეობის მხოლოდ ასაკობრივ-სქესობრივ და ცოლქმრულ-ოჯახურ სტრუქტურებთან აკავშირებს. შობადობის სოციოლოგიის ერთერთი თვისებაა ის, რომ იგი სპეციალურად იკვლევს პიროვნების რეპროდუქციულ ქცევაზე სოციალური ინსტიტუტების და პირველ რიგში ოჯახის ინსტიტუტის გავლენას. სწორედ ასეთი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები იძლევა რამდენადმე დამაჯერებელ პასუხს კითხვებზე: რა გარემოებები აპირობებენ მრავალშვილიანობას, შობადობის შემცირებასა და მცირეშვილიანობის გავრცელებას, ოჯახის შემოსავალსა და შობადობას შორის უკუკავშირს და სხვ.

ქორწინებისა და ოჯახის სოციოლოგიის კვლევის პრობლემატიკაში შედის მეუღლეთა ფასეულობითი ორიენტაციები, ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების განმსაზღვრელი ფაქტორები, ოჯახის სტრუქტურა, შემადგენლობა და სიდიდე, მეუღლეთა რეპროდუქციული განწყობის ცვლილებათა ტენდენციები, რეპროდუქციული ქცევის სტრუქტურა და სხვ.

კონკრეტული სოციოლოგიური დისციპლინების სახით მიკროდონეზე გამოყოფენ: რეპროდუქციული ქცევის სოციოლოგიას, თვითშენახვითი ქცევის სოციოლოგიას, მიგრაციული ქცევის სოციოლოგიას, რომლებიც იკვლევენ დემოგრაფიული განვითარების ცალკეულ მხარეებს როგორც ქცევას.

ეთნიკური დემოგრაფია, როგორც ეთნოგრაფიისა და დემოგრაფიის მიჯნაზე აღმოცენებული მეცნიერული დისციპლინა, სწავლობს ეთნოსთა აღწარმოების თავისებურებებსა და რიცხოვნობის დინამიკას, თავის გამოკვლევებში იგი იყენებს ძირითადად ეთნიკურ სტატისტიკას, მოსახლეობის აღწარმოების მასალებს, ეთნოსთა კულტურისა და ყოფაცხოვრების თაობაზე ჩატარებულ სპეციფიკურ დემოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ გამოკვლევებს, აგრეთვე სოციოლოგიის (განსაკუთრებით ეთნიკური სოციოლოგიის), გეოგრაფიის (ეთნოგეოგრაფიის), ფსიქოლოგიის (ეთნიკური ფსიქოლოგიის), ეთნიკური ეკოლოგიის, ანთროპოლოგიისა და მედიცინის რიგ სხვა საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მონაცემებს. ეთნიკური დემოგრაფიის როგორც მეცნიერული დისციპლინის წარმოშობა-ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ დემოგრაფიული ქცევა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებთან და ბევრი დემოგრაფიული პროცესი შეუძლებელია აისახოს ეთნოგრაფიული მასალების ფართოდ გამოყენების, დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემების განსაზღვრულ ეთნოსებთან დაკავშირების გარეშე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შობადობის გამოკვლევის დროს. ეთნიკური დემოგრაფია ითვლისწინებს მსოფლიოს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა სქესობრივი მომწიფების ასაკს, ქორწინებამდელი კავშირების ჩვევებს, მამაკაცებისა და ქალთა ტრადიციულ საქორწინო ასაკს, გაბატონებულ დამოკიდებულებას ქორწინებისა და დაუქორწინებლობისადმი, ქორწინების პირობებსა და მის ძირითად ფორმებს, ოჯახის სახეობებსა და ფორმებს, ოჯახსა და საზოგადოებაში ქალთა მდგომარეობას, მეუღლეთა შორის ტრადიციულ ურთიერთობებს, სქესობრივ ტაბუს, ქორწინების გარეშე სქესობრივ კავშირებთან და ბავშვების გაჩენასთან დამოკიდებულებას, ბავშვების ყოლის მოთხოვნილებას, უშვილობასა და მცირეშვილიანობასთან ტრადიციულ დამოკიდებულებას და სხვა.

ეთნიკური დემოგრაფიის ამოცანებში შედის შესწავლა ინდივიდუალური განწყობათა და სოციალური ტრადიციებისა, რომლებიც ყალიბდება როგორც მათ თუ იმ ხალხის განსაზღვრულ სოციალურ-ეკონომიკურ, ბუნებრივ და სხვა პირობებში ისტორიული განვითარების მსგელობაში, ისე დამკვიდრებულ და რეპროდუქციულ ქვეყანებზე ზემოქმედების მომხდენ რელიგიურ სისტემასთან კავშირში. მსოფლიოს ქვეყნებისა და ხალხების მიხედვით არსებული მონაცემები გვიჩვენებს მათში შობადობასთან დაკავშირებული დემოგრაფიული ქცევის თითქმის ყველა ზემოაღნიშნული მოვლენისა და ასპექტის არსებით დიფერენცირებას. ისინი მოწმობს ამ მოვლენის დიდ ინერციულობაზეც.

ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის თაობაზე, რომ დემოგრაფიული ევოლუციის კონკრეტულ მსგელობაზე, კერძოდ, მოსახლეობის აღწარმოების ახალ ტიპზე გადასვლის სიჩქარეზე, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად ახდენენ გავლენას მოვლენები, რომელთაც სწავლობს ეთნიკური დემოგრაფია.

ამა თუ იმ ხალხის მოკვდაობის დონეზე გარკვეულ გავლენას ახდენს განსხვავებული ეთნიკური ტრადიციები. თუმცა ეთნიკური ფაქტორების გავლენა მთლიანად მოკვდაობაზე, შობადობაზე გავლენასთან შედარებით, ბევრად უფრო სუსტია, ვინემ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა. აღნიშნული მიმართულებით ეთნიკური ფაქტორების გავლენა თავს იჩენს, უწინარეს ყოვლისა, გენეტიკურ ურთიერთობაში. ეთნოსებისათვის ამა თუ იმ ზომით დამახასიათებელია ენდოგამია (ჭორწინება უპირატესად გარკვეულ ჯგუფებს შიგნით), რაც ხელს უწყობს ზოგიერთი მემკვიდრეობითი დაავადების გავრცელებას. დაავადებათა და მოკვდაობის ეთნიკური ასპექტები დაკავშირებულია აგრეთვე ეთნიკური ტერიტორიების ბუნებრივ პირობებთან, მეურნეობრივი საქმიანობის თავისებურებებთან და ცხოვრების სხვა სფეროებთან, დაავადებათა ლოკალურად გავრცელებულ სახეობებთან და ა. შ. ამ თვალსაზრისით ეთნიკური დემოგრაფიის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ცხოვრების უზრუნველყოფელი მთელი რიგი სისტემები, რომელთაც სწავლობს ეთნოგრაფია. გარდა ტრადიციული საქმიანობისა, მას მიეკუთვნება საცხოვრებელი ბინებისა და ტანსაცმლის ნაირსახეობანი, მნიშვნელოვანად დიფერენცირებული კვების რაციონი სასურსათო პროდუქტების სახეობის (მცენარეული, ხორცეული, რძის და ა. შ.), კალორიულობისა და ქიმიური შემადგენლობის, მომზადების სერხების (ცივი, ცხელი), დღეღამური კვების რეჟიმის მიხედვით და ა. შ. ეთნიკური დემოგრაფია სწავლობს თამბაქოს წვევისა და ალკოჰოლური სასმელების მოხმარების ეთნიკურ ასპექტებსაც [2, გვ.542].

ჩვენი აზრით, ეთნიკური დემოგრაფიის კვლევის სფეროში უნდა მოვაქციოთ აგრეთვე ეთნიკურად შერეული ოჯახების აღწარმოებასთან დაკავშირებული საქითხების შესწავლა, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია მოსახლეობის მრავალეროვნეულობით გამოარჩეულ საქართველოს რესპუბლიკაში.

სამედიცინო დემოგრაფია, როგორც დემოგრაფიისა და მედიცინის მიჯნაზე აღმოცენებული მეცნიერული დისციპლინა, სწავლობს მოსახლეობის აღწარმოების სამედიცინო ასპექტებს. იგი საკითხთა ფრიალდ ფართო სპექტრს მოიცავს, რომელთა ღრმა მეცნიერულ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ აქტუური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისა და მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური შედეგების მიღწევისათვის. სამედიცინო დემოგრაფიის კვლევის საგანს შეადგენს სამედიცინო ღონისძიებათა როლი მოსახლეობის აღწარმოებაში. მათ შორის აღსანიშნავია:

- მეცნიერული მეთოდებით (ე. ი. მკურნალობის გზით) ბრძოლა რეპროდუქციულ ასაკში უნაყოფობასთან. როგორც ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის გენერაციული ფუნქციის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის შედეგები მოწმობს, მთელ რიგ შემთხვევებში შეიძლება მკურნალობის ისეთი კურსის ჩატარება, რომელიც უზრუნველყოფს უნაყოფობის დაძლევის.

- ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების უზრუნველსაყოფად ჩასახვის



საწინააღმდეგო მეცნიერულად დასაბუთებულ საშუალებათა შეთავაზება.

- ჯანმრთელობის დაცვის მიზნით პროფილაქტიკურ ღონისძიებათა მოსახლეობის სისტემატური საყოველთაო დისპანსერიზაცია, რაც დაავადებათა დროული გამოვლენისა და მათი შედარებით ადვილად განკურნების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა.

- მოსახლეობის, განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება, მოკვდაობის ეგზოგენური მიზეზების შესწავლა და მათთან ბრძოლის ქმედით საშუალებათა დასახვა, რაც ხელს შეუწყობს, მოკვდაობის შემცირებასთან ერთად, ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდას.

- მკურნალობის ისეთი ორიგინალური მეთოდების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ნარკომანიის, როგორც ფრიალ საშიში სოციალური მოვლენის აღმოფხვრას.

- მომუშავეთა, განსაკუთრებით ძუძუმწოვარ ბავშვთა დედებისა და ორსული ქალების ჯანმრთელობისათვის ფიზიკურად მავნე სამუშაოთა დაფიქსირება, რაც შექმნის უარყოფითი დემოგრაფიული მოვლენების თავიდან აცილების გარანტიას.

- ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და შრომისუნარიანობის გადიდების, აგრეთვე ხანდაზმულ ასაკში ჯანმრთელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავება; ზემოქმედების ისეთ საშუალებათა მოძიება, რომელიც ხელს შეუწყობს დაბერების პროცესის შენელებას.

სამხედრო დემოგრაფია არის მეცნიერული დისციპლინა, რომელიც სწავლობს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებს ქვეყნის სამხედრო ძლიერების უზრუნველყოფის, საომარი ვითარებისა და ომების შედეგების ასპექტში. იგი იკვლევს ისეთ პრობლემებს, როგორცაა: მეომარ სახელმწიფოთა სამობილიზაციო შესაძლებლობანი; ომებთან დაკავშირებით მოსახლეობის დანაკარგები და მიგრაციული პროცესები; ომების გავლენა მოსახლეობის აღწარმოების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებზე და სხვ. სამხედრო დემოგრაფიაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის გაანგარიშებას სქესისა და ასაკის მიხედვით ქვეყნის ადამიანისეული რესურსების განსაზღვრისათვის.

სამხედრო დემოგრაფია ვითარდება დემოგრაფიის ზოგადი მეთოდოლოგიის საფუძველზე. იგი იყენებს დემოგრაფიის, სტატისტიკის ზოგადი თეორიის, მათემატიკური სტატისტიკის, ალბათობის თეორიის, დემოგრაფიული სტატისტიკის მეთოდებს. სამხედრო დემოგრაფიული ხასიათის გამოკვლევათა მეთოდური მხარის მნიშვნელობა იზრდება მათემატიკურ-სტატისტიკური და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების განვითარების, აგრეთვე ელექტრო-გამომთვლელი ტექნიკის ინტენსიური გამოყენების კვალობაზე.

სამხედრო დემოგრაფია ძირითადად ემყარება ისეთ წყაროებს, როგორცაა: სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის შესახებ ომამდე, ომის პერიოდში და მისი დამთავრების შემდეგ, ომებში ადამიანთა დანაკარგების შესახებ (დაღუპულები, ტყვედ ჩავარდნილები, უზოუკვლოდ დაკარგულები); ომების შესახებ შედგენილი ანგარიშგებები; საარქივო, ლიტერატურული და სხვა წყაროები მოსახლეობის აღწარმოებისა და მიგრაციის შესახებ. გამოიყენება აგრეთვე მეთოდურ-სტატისტიკური ანგარიშგებები, რომლებიც სდგება როგორც მთლიანად ომის შესახებ, ისე ცალკეული საბრძოლო ოპერაციებისა და პერიოდების მიხედვით.

სამხედრო დემოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეცნიერული მიმართულებაა სამხედრო მოსამსახურეთა მობილიზაციისა და დემობილიზაციის გამოკვლევა, რომლის მასშტაბებზეც უშუალოდ არის დამოკიდებული სოციალური მობილობა, მიგრაცია, მოსახლეობის აღწარმოება. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ.) საქართველოდან მობილიზებული და მოქმედ არმიასი გაწვეული იყო 700 ათასამდე ახალგაზრდა, რომლის თითქმის ნახევარს სიცოცხლის ფასად დაუჯდა ეს ომი, ხოლო დაბრუნებულთა შორისაც მრავლად იყო დაჭრილი და

დანივლიდებულ, მთლიანად ან ნაწილობრივ შრომისუნარდაკარგული. ცხადია, ამან საგრძნობი გავლენა მოახდინა მოსახლეობის რიცხოვნობაზე, სქესობრივ-საკობრივ სტრუქტურაზე, ქორწინებაზე და საერთოდ მოსახლეობის აღწარმოებაზე.

სამხედრო დემოგრაფია, მოსახლეობაზე ამის შედეგების პირდაპირ გავლენასთან ერთად, იკვლევს მოსახლეობის არაპირდაპირ დანაკარგებსაც, რომელიც ვლინდება ქორწინების, შობადობის, მოკვდაობის და სხვა დემოგრაფიულ მაჩვენებელთა მნიშვნელოვან ცვლილებებში. როგორც რეალური მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, ამის პერიოდში მკვეთრად ეცემა ქორწინების დონე ახალგაზრდა ვაჟების (ნაწილობრივ ქალიშვილებისაც) არმიაში გაწვევისა და ქორწინებათა გადაადგილების შედეგად. მისი გარდუვალა შედეგია შობადობის ტემპების შემცირება. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ პერიოდში როგორც ფრონტზე, ისე ზურგში მოკვდაობის ფართო მასშტაბებსაც, კანონზომიერად წარმოგვიდგება მოსახლეობის ბუნებრივი მატების დაცემა.


სამხედრო დემოგრაფიაში რამდენადმე დამოუკიდებელი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის მიგრაციული პროცესების შესწავლას, რომელიც ინტენსიურ ხასიათს ღებულობს ამის პერიოდსა და ამის შემდგომ წლებში. იგულისხმება მობილიზაციითა და დემობილიზაციით განპირობებული სამხედრო მიგრაცია; მშვიდობიანი მოსახლეობის, ჯარის ნაწილებისა და შრომითი რესურსების ევაკუაცია, ეკონომიკურ (მ. შ. სასურსათო) სიძნელებთან დაკავშირებული მიგრაცია და სხვ.

სამხედრო დემოგრაფიის კვლევის სფეროში შედის აგრეთვე ამების უახლოესი და შორეული დემოგრაფიული შედეგების ანალიზი. მხედველობაში გვაქვს ამის გავლენა მოსახლეობის რიცხოვნობაზე, ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (როგორც მთლიანად, ისე ცალკეულ თვისებრივად ერთგვაროვანი ჯგუფების მიხედვით), საერთოდ მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებზე. გამოყოფენ ამისშემდგომ პირველ, მეორე და ა. შ. დემოგრაფიულ ექოს, ე. ი. ამის შედეგების გამოძახილს მოსახლეობის აღწარმოებაში. ამის გაანალიზების გარეშე მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა თაობაზე გაკეთებული დასკვნები ვერ მოგვცემს არსებული მდგომარეობის რეალურ სურათს.

ასეთია მოკლედ დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში შემავალ მეცნიერულ დისციპლინათა არსი და კვლევის ძირითადი მიმართულებანი. მათი კლასიფიკაცია შეიძლება გამოვხატოთ სქემის სახით (იხ. სქემა).

დემოგრაფიულ მეცნიერებათა ასეთი კლასიფიკაცია პირობითია, რამდენადაც არცერთი მათგანი არ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ იმ ბლოკისთვის დამახასიათებელი ნიშნებით, რომელსაც ისინი მივაკუთვნებთ. მაგალითად, პირველ ბლოკში შევიდა მეტნაკლებად ზოგად-თეორიული დისციპლინები, რომლებიც, როგორც წესი, თეორიული ხასიათის გლობალურ დემოგრაფიულ პრობლემებს იკვლევენ. თეორიული საკითხების გარკვეული ზომით კვლევას არც მეორე ბლოკში გაერთიანებული დისციპლინები უვლიან გვერდს, მაგრამ რამდენადაც ისინი სხვადასხვა მეცნიერების მიჯნაზე წარმოქმნილი დისციპლინებია და მოიცავენ მოსახლეობის აღწარმოების არა გლობალურ, არამედ ლოკალურ, ცალკეულ კონკრეტულ მხარეებსა და ასპექტებს, კონკრეტულ დისციპლინათა ბლოკში მოვაქციეთ.

ამრიგად, დემოგრაფიულ მეცნიერებათა ამა თუ იმ ბლოკისადმი მიკუთვნების კრიტერიუმად ავიღეთ თითოეული მათგანის კვლევის ძირითადი მიმართულება, მასშტაბი და დანიშნულება. კლასიფიკაციის მთავარ პრაქტიკულ მნიშვნელობად ვთვლით იმას, რომ იგი აადვილებს თითოეული დემოგრაფიული მეცნიერული კვლევის ხასიათის გარკვევას და კვლევის შედეგების პრაქტიკულ რეალიზაციაში ორიენტაციას.

დემოგრაფიული მენეჯმენტი¹


ავტორის მიერ სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებებს არა აქვს აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზია. ზოგიერთი მათგანი საკითხის დაყენების ხასიათს ატარებს. იმედია, სპეციალისტები გამოეხმაურებიან. მეცნიერულ კამათსა და დისკუსიაში კი თანდათანობით გამოიკვეთება ჭეშმარიტება.

ლიტერატურა

1. Д. И. Валентей, А. Я. Кваша. Основы демографии. М., 1989.
2. Демографический энциклопедический словарь. М., 1985.
3. Г. О. Кильдишев, Л. Л. Козлова, С.П. Ананьев и др. Статистика населения с основами демографии. Учебник, М., 1990.

1

მართალია, ყველა მათგანს ჯერ კიდევ არ მიუღია ჩამოყალიბებული მეცნიერული დისციპლინის სახე და საყოველთაო აღიარება, მაგრამ თვით ფაქტი არსებობისა ექვს არ იწვევს. მომავალში საეცებით შესაძლებელია არა მარტო მათი განვითარება, არამედ კიდევ სხვა ახალი მონათესავე (დარგთა შესაყარზე აღმოცენებულ) მეცნიერებათა შექმნა-განვითარებაც.

The system and classification of demographic sciences.

L. Chikava

Summary. Demography is a complex multi-faceted social science which studies the regularity of reproduction.

At first it was represented as an independent science but later more or less independent scientific branches were separated from the main scientific trend and formed new demographic branches on the border of related sciences that led, finally, to the formation of Demographic science. The latter means interconditionality and natural interconnection of demographic branches plays a considerable part in demographic behavioural studies.

The general demographic theory is a system-forming science for other demographic branches. All demographic branches are based on general theoretic and methodological results of the former.

The demographical sciences, conventionally may be grouped in two blocks: general-theoretical (general demography theory, history of demographic science, historical demography, demographic statistics, mathematical demography, demographic forecasting, regional demography) which studies mainly global problems in a theoretical aspect; another group is concrete (economic, sociological, ethnic, medical, military demography) which originates on the border of related sciences and studies local, concrete questions about reproduction.

Система и классификация демографических наук

Л. Чикава

Резюме. Демография - комплексная общественная наука, изучающая закономерности воспроизводства населения. Вначале она была представлена единой наукой, но впоследствии от нее отпочковались самостоятельные научные направления, что привело к формированию системы демографических наук. Последняя подразумевает органическую взаимосвязь и взаимообусловленность демографических дисциплин, каждой из которых отводится определенная роль в исследовании демографического поведения, и только все вместе дают сколь-нибудь полное представление о воспроизводстве населения. Общая демографическая теория является системообразующей наукой для демографических дисциплин, на общетеоретических и методологических выводах которой основываются все науки демографического профиля.

Демографические науки условно можно объединить в два блока: общетеоретические науки (общая демографическая теория, история демографической науки, историческая демография, демографическая статистика, математическая демография, демографическое прогнозирование, региональная демография), которые исследуют глобальные проблемы воспроизводства населения в основном в теоретическом аспекте, и конкретные науки (экономическая, социологическая, этническая, медицинская, военная демография), возникшие на стыке смежных наук и изучающие локальные, конкретные проблемы.

A Generalization of the Stolper-Samuelson and Kemp-Wegge Theorems

Gerard Sierksma, Albert È. Steenge, Elmer Sterken

Department of Econometrics, University of Groningen

P.O.Box 800 9700 AV Groningen The Netherlands

Received: June 24, 1992

Summary. In this paper we show that if the Stolper-Samuelson problem is studied in a slightly more general framework, the matrix of factor shares must belong to a certain well-defined class. Matrices of this type have appeared in numerical examples, but no special attention has been paid to them. The relation to earlier work by Kemp and Wegge is discussed.

1. Introduction

Stolper and Samuelson [1] consider the effect of a rise in one commodity price, the other unaffected, on factor rewards in a two-sector economic system. They show that the rewards increase in the sector of relative abundance, and decrease in the other sector. Next, many efforts have been made to generalize these results to n -sector systems. Wegge and Kemp [2] derive necessary and sufficient conditions regarding the factor shares matrix A , for the following problem formulation:

Suppose, $\Delta p_i > 0$, $\Delta p_j = 0$, ($i, j = 1, \dots, n$; $i \neq j$), under what conditions does hold $\Delta w_i > 0$, $\Delta w_j < 0$, ($i, j = 1, \dots, n$ $i \neq j$)? They show that this case occurs if (and only if) all conditional input-output coefficients of the factor shares matrix are positive. The obvious question then is, whether there really exist such matrices; the construction of such matrices was not provided at the time. In this paper we hope to present a further step. We will show that if the original question is put in a slightly more general framework, the matrix A must belong to a class of matrices described earlier by Sierksma [3]. Matrices belonging to this class appear in various numerical examples in works [4], [5], without any special attention being given to them. The fact that also in other work [6], matrices appear that are "close" to the matrix we shall discuss, seems to warrant a special discussion of them.

2. Matrices of Class $M(x)$

A square matrix $M = \{m_{ij}\}$ is said to belong to class $M(x)$ if and only if

$$m_{jj} - m_{ij} = x \quad x \neq 0, \quad i, j \in \langle n \rangle = \{1, \dots, n\}, \quad i \neq j \quad (1)$$

For an extensive description of matrices of class $M(x)$, we refer to Sierksma [3]. Interest in matrices of this type is based on the following theorem; see also [3]:

Theorem 1: Suppose $Tx = c$. Then the following assertions are equivalent:



(i) $T \in M(x)$ for some $x \neq 0$, $x \in \mathbb{R}$;

(ii) $\Delta x_j > \Delta x_i \iff \Delta c_j > \Delta c_i$

Theorem 1 plays a part in the study of certain problems in Leontief input-output systems. To apply the result to the Stolper-Samuelson framework, we need some new properties of class $M(x)$ matrices

Lemma 1: Let $M = \{m_{ij}\} \in M(x)$. Then

$$(a) M^{-1} = \frac{1}{x-s} \begin{bmatrix} x-m_{11+s} & x-m_{12} & \dots & x-m_{1n} \\ x-m_{21} & x-m_{22+s} & \dots & x-m_{2n} \\ \vdots & \vdots & \ddots & \vdots \\ x-m_{n1} & x-m_{n2} & \dots & x-m_{nn+s} \end{bmatrix}$$

(b) $M^{-1} \in M(1/x)$

Proof: The proof is an immediate consequence of Sierksma [3, t.16,18]. For use in the Stolper-Samuelson framework, we also need the following concepts:

Definition [1]. The square matrix M is said to be a P-matrix if all of its principal minors are positive.
and

Definition [2]. The square matrix M is said to have the strong Minkowski-property if it has an inverse with $m_{ii}^{(-1)} > 0$ and $m_{ij}^{(ij)} < 0$, $i \neq j$ ($m_{ij}^{(-1)}$ being the (i,j) th element of M^{-1}).

Theorem 2. For nonnegative matrices M of class $M(x)$ the following assertions are equivalent:

- (i) M has the P-property;
- (ii) M^{-1} has the strong Minkowski property.

Proof: (i) \Rightarrow (ii) If M has the P-property, then $m_{ii} > 0$ for each $i \in \langle n \rangle$. Moreover, positivity of the (2,2) principal minor implies:

$$0 < m_{11}m_{22} - (m_{11} - x)(m_{22} - x) = x(m_{11} + m_{22} - x).$$

As $m_{22} - x > 0$ and $m_{11} > 0$ it follows that $m_{11} + m_{22} - x > 0$, so we also have $x > 0$.

Moreover $|M| > 0$. Hence, $x^{n-1} \cdot s > 0$, which implies $s > 0$. Therefore, we have $x \cdot s > 0$.

(ii) \Rightarrow (i) As $M \geq 0$, we cannot have $m_{ii} = 0$ for each $i \in \langle n \rangle$, because then $x=0$ as well, and this is impossible. Hence $m_{ii} > 0, \forall i \in \langle n \rangle$. Using induction on n we only have to show that $M = x \cdot s > 0$. If $x \cdot s$ should be negative, then $x - m_{ii} > 0$ which is not true. So in fact all principle minors of M are positive.



3. The Stolper-Samuelson and Kemp-Wegge Theorems

In the well-known extensions of the Stolper-Samuelson theorem ([5], [2]) conditions are derived which guarantee

$$\begin{cases} \Delta p_i > 0 \\ \Delta p_j = 0 \quad (i \neq j) \\ \text{in the model} \end{cases} \iff \begin{cases} \Delta w_i > 0 \\ \Delta w_j < 0 \quad (i \neq j) \end{cases} \quad \forall i, j \in \langle n \rangle \quad (2)$$

$$Aw = p,$$

where A is the matrix of factor shares, p the vector of product prices and w the vector of factor money rewards.

By now, we have that if the Stolper-Samuelson theorem is formulated as: Under what conditions on A does hold

$$\Delta p_i > \Delta p_j \iff \Delta w_i > \Delta w_j, \text{ for each } i, j \in \langle n \rangle, \quad (3)$$

we must have $A \in A(x)$ for some $x \in \mathbb{R}$, $x > 0$. ([3], t.19)

Wegge and Kemp [2] showed that positivity of all conditional input-output coefficients is necessary and sufficient for (2). Conditional input-output coefficients of the first-order are defined as

$a_{ij,k} = a_{ij} - a_{ik}a_{kk}^{-1}a_{sj}$; see also [2]. As is mentioned before, for the general case, matrices satisfying (2) have never been constructed. However, taking a more general point of view as in (3), there in fact are matrices which have all conditional input-output coefficients positive:

Theorem 3. Let A be nonnegative and $A \in A(x)$. Then A has the P-property if and only if all conditional input-output coefficients of A are positive.

Proof. (\Rightarrow): If $k \neq i \neq j$, then $a_{ij,k} = (a_{jj} - x) - (a_{kk} - x)(a_{kk})^{-1}(a_{jj} - x) = ((a_{jj} - x)x) / a_{kk}$. Theorem 2 implies $a_{kk} > 0$, $x > 0$ and $a_{jj} - x > 0$, hence $a_{ij,k} > 0$. If $i = j$, then $a_{ii,k} = a_{ii} - (a_{kk} - x)(a_{kk})^{-1}(a_{ii} - x) = (a_{ii}a_{kk} - (a_{ii} - x)(a_{kk} - x)) / a_{kk}$

because A has the P-property.

(\Leftarrow): $a_{ii} \geq 0$, because A nonnegative. If e.g. $a_{11} = 0$, then $x < 0$. But, $a_{11}a_{22} - (a_{11} - x)(a_{22} - x) = x(a_{22} - x) > 0$, so $(a_{22} - x) < 0$, in contradiction with A nonnegative. So $a_{ii} > 0$, $\forall i \in \langle n \rangle$.

If $x < 0$, then $x(a_{11} + a_{22} - x) < 0$, because $a_{11} > 0$ and $a_{22} - x > 0$. But $a_{ij,k} > 0$, $\forall i, j \in \langle n \rangle$, so $x > 0$. The k -th principal minor $x^{k-1}s > 0$, because $s = a_{11} - x + \dots + a_{ii} + a_{i+1,i+1} - x + \dots + a_{kk} - x > 0$, because $a_{11} > 0$ and $a_{jj} - x > 0$, $\forall j = i \in \langle n \rangle$.

Matrices of the type we have described occur quite frequently in the literature. For example in [4, p.203], we have

$$A = \begin{bmatrix} 4 & 3 & 3 \\ 3 & 4 & 3 \\ 3 & 3 & 4 \end{bmatrix}$$

and in [5, p.73]

$$A = \begin{bmatrix} 0.2 & 0.1 & 0.1 \\ 0.1 & 0.2 & 0.1 \\ 0.1 & 0.1 & 0.2 \end{bmatrix}$$

Further work on extension of the class $A(x)$ seems promising. For example, Chipman [6, p.404] discusses matrices "close" to members of class $A(x)$, such as

$$A = \begin{bmatrix} 0.8 & 0.2 & 0 \\ 0.2 & 0.6 & 0.2 \\ 0 & 0.2 & 0.8 \end{bmatrix}$$

References.

1. Stolper, Wolfgang F. and Paul A. Samuelson, *Protection and Real Wages*, Review of Economic Studies IX, pp.58-73, 1941.
2. Wegge, Leon L.F. and Murray C. Kemp, *Generalizations of the Stolper-Samuelson and Samuelson-Rybczynski Theorems in Terms of Conditional Input-Output Coefficients*, International Economic Review 10,3 (October) pp.414-425, 1969.
3. Sierksma, Gerard, *Non-negative Matrices: The open Leontief Model*, Linear Algebra and its Applications pp. 26, 175-210, 1979.
4. Uekawa, Yasuo, *Generalization of the Stolper-Samuelson Theorem*, Econometrica 39, 2 (March) pp.197-218, 1971.
5. Uekawa, Yasuo, Murray C. Kemp and Leon L.F. Wegge, *P- and PN-matrices, Minkowski- and Metzler-matrices, and Generalizations of the Stolper-Samuelson and Samuelson-Rybczynski Theorems*, Journal of International Economics 3, pp.53-76, 1972.
6. Chipman, John S., *Factor Price Equalization and the Stolper-Samuelson Theorem*, International Economic Review 10, 3 (October), pp.339-406, 1969.

სტოპლერ-სამუელსონის და კემპ-ვიგის თეორემების განზოგადება

ჟერარ სიერქსმა, ალბერტ ე. სტინგი, ელმერ სტერკენი
გრონინგენის უნივერსიტეტი

რეზუმე სტატიაში ნაჩვენებია, რომ თუ რამდენადმე გავაფართოებთ სტოპლერ-სამუელსონის პრობლემის კვლევას, მაშინ წილობრივი კოეფიციენტების მატრიცა მიეკუთვნება სრულიად განსაზღვრულ კლასს. ამ ტიპის მატრიცები გვხვდება რიცხვით მაგალითებში. გაანალიზებულია კემპის და ვიგის ადრეული ნაშრომი.

Обобщение теорем Столпера-Самуэльсона и Кэмп-Вига

Жерар Сирксма, Альберт Е. Стинг, Элмер Стеркен
Гронингенский университет

Резюме. В статье показано, что если несколько расширить рамки исследования проблемы Столпера-Самуэльсона, то матрица долевых коэффициентов должна принадлежать известному, вполне определенному классу. Матрицы этого типа встречаются в числовых примерах. Дан анализ ранней работы Кэмп и Вига.

წესები ავტორთათვის

1. ჟურნალში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე: ეკონომიკის სერია, ქვეყნდება ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, სტატიები რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას თანამედროვე მოწინავე ეკონომიკური მიმართულებების თეორიული და პრაქტიკული კვლევების შედეგების შესახებ. პერიოდულად იბეჭდება რეცენზიები, აგრეთვე იმ კონფერენციების, სხდომებისა და სხვა სამეცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიებების ქრონიკები, რომლებიც რესპუბლიკაში ტარდება.

2. რედაქციამ ვამოგზავნილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის მიერ, თანავტორობის შემთხვევაში კი - ყველა თანავტორის მიერ, სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხის და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ტელეფაქსის, ტელექსის მითითებით.

3. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, რეზუმე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე არ უნდა აღემატებოდეს ნაბეჭდი ტექსტის 24 გვერდს, რომელიც დაბეჭდილია 2 ინტერვალთ. მარცხენა მხარეს დატოვებული უნდა იყოს 4 სმ სივანის მინდორი.

რეზუმე, გამოყენებული ლიტერატურის სია, ცხრილები და ნახატების მიწვევები სრულდება ცალკე ფურცელზე.

მოკლე მოხსენებების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7 ნაბეჭდ გვერდს.

რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ეგზემპლარად. ხელნაწერის ყოველი გვერდი ლიტერატურის სიის ჩათვლით უნდა იყოს დანომრილი.

4. ილუსტრაციები (ორ ეგზემპლარად) ცალკე უნდა ახლდეს ნაშრომს. ნახაზები და გრაფიკები შესრულებული უნდა იყოს მკაფიოდ ტუშით, კალკაზე ან მილიმეტრიან-ჭალაღზე, ფანქრით შესრულებული, ტექსტში ჩახაზული, ან ხელნაწერზე დაწებებული ნახაზები არ მიიღება. აუცილებლად უნდა მიეჭკეს ყურადღება აღნიშვნების იდენტურობას ტექსტში და ნახაზზე. ყველა მინაწერი, რომელიც ფარავს ნახაზს უნდა შეიცვალოს ციფრობრივი, ან ასოითი აღნიშვნით, განმარტებები კი ჩამოტანილ იქნეს ნახაზის მინაწერში.

5. ყოველი ილუსტრაციის მეორე მხარეს აღნიშნული უნდა იყოს მისი რიგობრივი ნომერი და ავტორების გვარები.

6. ფორმულები და განმარტებები თუ ჩაწერილია ხელით უნდა შესრულდეს გარკვევით. ინდექსის ჩაწერისას კარგად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან შტრიხი, ერთიანი და მძიმე. ფორმულების ჩაწერისას კარგად უნდა ჩანდეს განსხვავება დიდი და პატარა ასოებს შორის: თუ მათ ერთნაირი მოხაზულობა აქვთ დიდ ასოს ფანქრით უნდა გავუსვათ ხაზი ქვემოდან (მაგ. X). განსაკუთრებით ზუსტად უნდა ჩაიწეროს ერთმანეთის მსგავსი ასოები (g და q, l და i, u და n და სხვა).

7. ლიტერატურის დასახელება უნდა მოთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით (რეცენზიებში, რომლებიც უნდა გამოქვეყნდეს რუბრიკით კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ლიტერატურა დასახელება გვერდის სქოლიოში).

წიგნებისათვის უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: ავტორის გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, ტომი გამოცემის ადგილი, გამოცემლობა, წელი.

საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ტომი, ნომერი (გამოშვება).

ლიტერატურის ნომერი სიაში შეესაბამება ტექსტში მათი მოხსენიების რიგს. ტექსტში ლიტერატურის დასახელებისას უნდა აღინიშნოს მისი რიგითი ნომერი (მაგ. [3]). ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს წიგნის (ჟურნალის) სატიტულო ფურცელს.



8. ავტორთა საყურადღებოდ რედაქცია აღნიშნავს, რომ სტატიის ტექსტსა და ნახატებს უნდა ჰქონდეს მინაწერი დასაბუქდად. როგორც წესი კორექტურა ავტორებს არ ეგზავნებათ.

9. სასურველია სტატიაში აღინიშნოს რითი განსხვავდება მიღებული შედეგი აღრე ცნობილისაგან.

10. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში შემოსვლის რიგის მიხედვით. თუ რედაქცია დააბრუნებს სტატიას გადასამუშავებლად, სტატიის წარმოდგენის თარიღად ითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი. ჟურნალის ერთ ნომერში შეიძლება ავტორის ერთი სტატიის ან ერთი მოკლე შეტყობინების გამოქვეყნება.

11. სტატიის გამოქვეყნებაზე უარის თქმის შემთხვევაში რედაქცია უფლებას იტოვებს არ დაუბრუნოს ავტორს ერთი ეგზემპლარი.

12. ხელნაწერები რომლებიც არ უპასუხებს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს რედაქციის მიერ არ მიიღება.

INSTRUCTION TO AUTHORS

1. The journal "Proceedings of the Georgian Academy of Sciences: economic series" publishes articles in Georgian, Russian and English, which includes the results of theoretical and applied research in leading trends of modern economic sciences. Periodically published reviews, chronicles of conferences, meetings, seminars etc held in the Republic.

2. An original article sent to editorial board must be signed by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full adress, telephone, fax and telex.

3. Volume of an article, list of references and summary in Georgian, Russian and English should not exceed 24 typewritten lines with double spacing. On the left hand side 4 cm margins should be left.

Summary, list of references, tables and signs under illustrations should be submitted separately.

A volume of short notes should not exceed 7 typewritten lines.

Two copies of papers should be sent to the publisher. All pages of manuscripts, including references should be numbered.

4. Illustrations (two copies) should be submitted separately.

Drawings and drafts should be filled legibly with indian ink on tracing paper or squared paper. Drafts in pencils, drawn in texts or pasted onto manuscripts are not accepted. It is necessary to keep an eye on exact accordance of designations in texts and drafts. All legends, overloading drafts should be substituted by figures or letters, explanations of them should be moved to inscriptions under illustrations.

5. On the back of each illustration it's ordinal number and authors' names should be written down.

6. Formulas and designations should be handwritten by ink, legibly, large and loosely. Subindexes should be avoided as far as possible.

When marking indexes it is necessary to differ strokes and numeral-units from commas.

When writing formulas it is necessary to differentiate strictly between small and capital letters. This requirement is applied especially to the letters of the same inscription distinguishing only by their size: capital letters are underlined with line below (for example, X).



It is necessary to write carefully the letters looking alike (g and o, j and e, u and n etc.).

7. Literature is listed as a general list at the end of an article (in the reviews published in the section "Criticism and Bibliography" literature is given in footnotes) in the following order: books, 1st 2nd and 3rd names of the author, title of the book, place of publication, publishing house, year of publication.

Journal articles: books, 1st, 2nd, 3rd names of the author, articles's title, year of publication, volume, issue.

Literature is listed following the sequence of references in the text of an article. References in the text of an article are given in parentheses. A bibliographic discription of each title in the list of literature must correspond strictly to the title-page of a book or a journal.

8. The editorial staff calls your attention to the fact that a typed text and drawing ready for type-setting signed "ready for printing" and proof-sheets for reading, as a rule, are not sent back to authors.

9. It is advisable to mention in an article the distinctive features of the given result from all the others already known.

10. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision, the date of receiving the final text is regarded as the date of submission for consideration. In one issue of a journal only one article or one brief report of an author is published.

11. In case of a refusal to publish an article, the editorial staff reserves the right not to return one copy of an article to author.

12. The manuscripts not meeting these requirements are not taken for consideration by editorial staff.

ПРАВИЛА ДЛЯ АВТОРОВ

1. В журнале "Известия АН Грузии: серия экономическая" публикуются статьи на грузинском, русском и английском языках, в которых содержатся результаты исследований теоретического и прикладного характера по ведущим направлениям современной экономической науки.

Периодически публикуются рецензии, хроника о конференциях, совещаниях, семинарах и других научно-организационных мероприятиях, проводимых в республике.

2. Направленный в редакцию оригинал статьи должен быть подписан автором, а в случае соавторства - всеми соавторами с указанием фамилии, имени, отчества, места работы, ученой степени и звания, полного почтового адреса и телефонов, телефаксов, телексов.

3. Объем статьи, список использованной литературы, резюме на грузинском, русском и английском языках, не должны превышать 24 страниц машинописного текста, отпечатанных через два интервала. С левой стороны оставляются поля шириной 4 см.

Резюме, список использованной литературы, таблицы и подписи к рисункам исполняются на отдельных листах.

Объем кратких сообщений не должен превышать 7 страниц машинописного текста.

Статьи представляются в редакцию обязательно в двух экземплярах. Все страницы рукописи, включая литературу, должны быть пронумерованы.

4. Иллюстрации (в двух экземплярах) прилагаются к рукописи отдельно. Чертежи и графики должны быть выполнены четко, тушью на кальке или миллиметровой бумаге. Чертежи, выполненные карандашом, вычерченные в тексте или приклеенные к рукописи не принимаются. Необходимо тщательно следить за точным соответствием обозначений в тексте и на чертежах. Все надписи, загромождающие чертеж, должны быть заменены цифровыми или буквенными обозначениями, а объяснения к ним вынесены в подпись к рисунку.

5. На обороте каждой иллюстрации должны быть проставлены ее порядковый номер и фамилии авторов.

6. Формулы и обозначения должны быть вписаны от руки чернилами, свободно, четко, крупно; следует по возможности избегать субиндексов.

В начертании индексов следует четко отличать штрих и единицу от запятой.

Должно соблюдаться строгое различие между строчными (малыми) и прописными (большими) буквами, имеющими одинаковое начертание и различающимися только своим размером: заглавные буквы подчеркиваются черточкой снизу (например, X).

Необходимо тщательно вписывать похожие одна на другую буквы (g и q, l и e, u и p и др.).

7. Литература приводится в конце статьи общим списком (в рецензиях, публикуемых в разделе "Критика и библиография", литература дается в подстрочных примечаниях) в следующем порядке:

Книги: Фамилия и инициалы автора. Название книги. Том. Место издания, издательство, год.

Журнальные статьи: Фамилия и инициалы автора. Название статьи. Название журнала, год, том, номер (выпуск).

Список литературы составляется в порядке упоминания работ в статье. Ссылки на литературу в тексте даются в квадратных скобках (например, [3]).

Библиографическое описание каждого названия в списке литературы должно строго соответствовать титульному листу книги (журнала).

8. Редакция обращает внимание авторов на то, что подготовленный к набору машинописный текст статей и рисунки подписываются авторами "в печать" и корректура для просмотра, как правило, не высылаются.

9. В статье желательно указать, чем отличается предлагаемый результат от ранее известных.

10. В журнале статьи публикуются в порядке поступления в редакцию. В случае возвращения автору статьи для доработки, датой представления считается день получения редакцией окончательного текста. В одном номере журнала может быть опубликована одна статья автора или одно краткое сообщение.

11. В случае отклонения статьи редакция оставляет за собой право не возвращать автору один экземпляр.

12. Рукописи, не отвечающие настоящим правилам, редакцией не принимаются.

6 35/16.



CONTENTS

Editorial Note	3
A.Gunia	
Living Standard of Population - the Factor Reflecting the Development of Economic Standard	5
John Conway O'Brien	
Evolutionary Economics: The End of it All?	18
L.Chikava	
The System and Classification of Demographic Sciences	32
Gerard Sierksma, Albert E. Steenge, Elmer Sterken	
A Generalization of the Stolper-Samuelson and Kemp-Wegge Theorems	50

ԹԴՊՈ 1
VOL. 1
TOM 1
N 1

1993
76196